[illegible stamp]
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 20 დეკემბერი, 1940 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის ორგანო | № 35 (158) ფასი 30 კაპ.

# თეატრი, დრამატურგია და თეატრალური კრიტიკა

საბჭოთა თეატრმა, წინა წლებთან შედარებით, თვალსაჩინოდ წაიწია წინ. შეიძლება დავასახელოთ ცალკეული სპექტაკლები, რომელნიც მოწონებულ იქნენ სწორედ იმიტომ, რომ თავიანთი ფესვებით, მთელი თავიანთი არსებით განუყრელად დაკავშირებული არიან ხალხის ცხოვრებასთან; იქ ჰპოულობენ ისინი სასიცოცხლო ძალას, რომელიც უხვად ჰკვებავს საბჭოთა ოსტატების შთაგონებას, განუსაზღვრელად აფართოვებს მათს ჰორიზონტს. ხელოვნების ეს სიახლოვე ხალხთან, ხალხის გულისთქმასთან გაერთიანება, სოციალისტური ხელოვნების გამარჯვების ყველაზე უკეთესი საწინდარია.

მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული სპექტაკლების შესახებ შეიძლება ითქვას. საერთოდ კი ჩვენი თეატრი ყოველთვის მხარდამხარ ვერ მისდევს ჩვენს თანამედროვეობას. მართალია, საბჭოთა ხელოვნების მუშაკთა შორის აღარავის სადაოდ არ მიაჩნია ის მოსაზრება, რომ საბჭოთა თეატრი იზრდება და მძლავრ შემოქმედებითს აყვავებას აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა მისი მუშაობა, მთელი მისი არსება გამსჭვალულია ჩვენი ეპოქის დიდი იდეებით, საბჭოთა ადამიანების ენტუზიაზმით, როცა ის ცხოვრობს ჩვენი ხალხის დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრებით, როცა მის სცენაზე გამოჩნდებიან ადამიანები, რომელნიც აღზარდა და გამოაწრთო ბოლშევიკურმა პარტიამ. ეს ყველას ღრმად გვწამს, ყველა აქეთკენ მივისწრაფით. მაგრამ ერთია სურვილი, ხოლო მეორე მისი პრაქტიკული განხორციელება. ეს უკანასკნელი ჩვენ ხშირად გვიძნელდება, და ხანდისხან უმცირესი წინააღმდეგობის გზით ვარჩევთ სიარულს: მთლიანად ვუხვევთ გვერდს თანამედროვეობას და ვკმაყოფილდებით ძველი პიესით, რომელიც მეთექვსმეტე თუ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოს გვიხატავს, ან ვკმაყოფილდებით ძველი ფრანგული მელოდრამებით.

ცხადია, ეს არ არის ნორმალური მოვლენა. სად, რომელი ქვეყნის და რომელი საუკუნის ხელოვნებას ჰქონია ისეთი მადლიანი თემა, როგორიც საბჭოთა ხელოვნების ოსტატების თვალწინ თანამედროვე ცხოვრების სახით არის გადაშლილი? არსად და არავის. ამ მხრივ საბჭოთა ხელოვნების ოსტატები უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ყველა მათი წინამორბედი და წინაპარი, ვიდრე წარსულის ყველა დიდი ოსტატი, რომელნიც მხოლოდ ოცნებით თუ მისწვდებოდნენ ადამიანის იმ სრულყოფილ სახეს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, თავისუფალ ქვეყანაში, ჩვენს თვალწინ, ჩვენთან ერთად დაიბადა და გაიზარდა. გმირობა ჩვენს ქვეყანაში მასობრივ მოვლენად გადაიქცა, გმირობა გადაიქცა ტიპიურ მოვლენად, გმირულ ღვაწლს ასრულებენ ჩვეულებრივი ადამიანები, სოციალიზმის გამარჯვებამ მათ ფართო პერსპექტივები გადაუშალა. ცხოვრების ამ ფართო მოედანზე ისინი ჭეშმარიტად სასწაულებრივ საქმეებს აკეთებენ, ბრძოლის თუ შრომითი გმირობის აღმაფრთოვანებელ მაგალითებს გვიჩვენებენ.

აი პირველ ყოვლისა ვისი დანახვა ენატრება სცენაზე თანამედროვე მაყურებელს. ცხადია, ჩვენთვის საინტერესოა ვნახოთ, როგორ ებრძოდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის მეომრები შემოსეულ მტრებს, როგორ იცავდნენ ისინი მშობლიურ მიწა-წყალს, მაგრამ უფრო მეტად საინტერესოა და უაღრესად საჭირო გვიჩვენოს თეატრმა საბჭოთა დევგმირების ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, რომელთაც თავიანთი სიმამაცით მთელი მსოფლიო განაცვიფრეს, გვიჩვენოს ფაბრიკა-ქარხნებისა და სოციალისტური მინდვრების სტახანოველები, საბჭოთა მეცნიერების მუშაკები, რომელნიც ბუნებას იმორჩილებენ, საბჭოთა ახალგაზრდობა, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელმაც ახალი ქვეყანა ააშენა. სოციალიზმის აშენების დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანი გადასვლის დიადმა ეპოქამ მისცა ხელოვნებას თემა, რომლის სრულყოფილი ასახვა გიგანტური ნაბიჯი იქნება კაცობრიობის მხატვრული აზროვნების ისტორიაში, მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ, ეს არის ჩვენი თეატრის ისტორიული ამოცანა და ჩვენ მთელი ძალღონე უნდა დავჭიმოთ იმისათვის, რომ ეს ამოცანა წარმატებით დავძლიოთ.

ეს საქმე პირველ ყოვლისა საბჭოთა დრამატურგიის ოსტატებმა უნდა ითავონ. იმ დროს, როდესაც ჩვენ გვყავს ნიჭიერი და კვალიფიციური დრამატურგების კადრი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის გამართლება, რომ ესა თუ ის თეატრი სათანადო პიესის უქონლობის გამო იძულებულია ხელი მოჰკიდოს მოუმწიფებელ და ხან სუსტ ნაწარმოებსაც. უფრო მეტი შემოქმედებითი გამოფხიზლება, მეტი დარაზმვა და გააქტიურება სჭირდებათ ჩვენს დრამატურგებს. სადაო არ არის, რომ ამ ჟანრის მწერალთა შორის არის ერთგვარი თვითკმაყოფილება, ერთგვარი მოდუნება. ხანდისხან არა სჩანს ის დაძაბული, შემოქმედებითი ვნებიანობით და დაუცხრომლობით სავსე მისწრაფება, ურომლისოდაც ეპოქალური ნაწარმოების შექმნა შეუძლებელია.

მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ სოციალისტური დრამატურგიის გზა ჯერ კიდევ ხშირ შემთხვევაში უვალია. თეატრალური კრიტიკა იმისთვის კი არ არის მოწოდებული, რომ სტატისტიკოსივით აღრიცხოს ყოველი წარმოდგენა და მისი ყოველი მონაწილე, — მან თეატრთან და დრამატურგთან ერთად უნდა ეძებოს ახალი ადამიანის უფრო უკეთ გამოხატვის საშუალებანი.

ჩვენს პრესაში ხშირად იბეჭდება რეცენზიები და წერილები სპექტაკლების, შემსრულებლების შესახებ. მაგრამ ეს რეცენზიები ხშირად მეტად ზედაპირულია. ცხადია, რეცენზია ვერც აღძრავს და გადასჭრის მნიშვნელოვან თეორიულ პრობლემას საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი გზის შესახებ, მაგრამ მას მაინც უნდა ახასიათებდეს თეორიული ჰორიზონტის მეტი სიფართოვე. და, გარდა ამისა, რაც მთავარია, საჭიროა თეორიული შრომა, რომელმაც უნდა შეაჯამოს საბჭოთა თეატრის ოსტატების გამოცდილება, გზა გაუნათოს პრაქტიკას, განაზოგადოს მისი ახალი თვისებები და ერთეული წარმატებიდან შემოქმედებითი პრინციპის ხარისხში აიყვანოს. ასეთი შრომა ჩვენში არა სჩანს. ჩვენი თეატრალური ცხოვრებისათვის, ჩვენი მსახიობისა და მაყურებლისათვის კი ისინი აუცილებლად საჭირონი არიან. საჭირონი არიან იმიტომ, რომ დღევანდელი ადამიანის მსოფლშეგრძნობა ველარ დაკმაყოფილდება ძველი ესთეტიკის მიერ მოცემული შეფასებებით. ახალია ურთიერთობა ადამიანთა შორის, ახალია სინამდვილე, შეიცვალა გემოვნებაც, შეიცვალა ადამიანის წარმოდგენაც ტრაგიკული, კომიკური და ამაღლებული ხასიათების შესახებ. ამას სჭირია თეორიული გამორკვევა, სჭირია თეორიული დადასტურება. ეს დიდი სამუშაოა, მაგრამ არადაუძლეველი და გარდაუვალი ამოცანა. ეს უნდა გაკეთდეს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ შევძლოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიით მივცეთ სწორი ორიენტაცია ჩვენი თეატრის მუშაკების შემოქმედებითს ფანტაზიას, განვაზოგადოთ მათი გამოცდილება. სწორედ თეორიამ უნდა მისცეს თეატრს იდეური გამობრძმედის შესაძლებლობა, მისცეს მას შორს მხედველობის უნარი. ამ მხრივ ჩვენი კრიტიკული აზრი მეტისმეტად სუსტ დახმარებას უწევს თეატრს და ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის ნაკლი, რომელნიც დღემდე ვერ დასძლიეს საბჭოთა თეატრმა და დრამატურგიამ.

ჩვენში შედარებით უკეთ არის დაყენებული თეატრის ისტორიის კვლევა, ვიდრე თანამედროვე თეატრის შემოქმედებითი პრობლემების გაგების საქმე. იმ ნაშრომებს, რომლებიც ჩვენში ესთეტიკის შესახებ იწერება, მეტის-მეტი აკადემიურობა ახასიათებთ. აქე როდი იქცეოდნენ ძველები. აიღეთ თუნდაც დიდროს შესანიშნავი ესთეტიური ტრაქტატი „პარადოქსი აქტიორზე“. ამ წიგნში დიდრო, ადგენს რა თავის თეორიულ კონცეპციას სათეატრო ხელოვნების შესახებ, ეყრდნობა თავის თანამედროვე მსახიობების გამოცდილებას, გვაძლევს მათი თამაშის საუცხოო ანალიზს და ამ მკვიდრ საფუძველზე აგებს ხელოვნების ახალ ფილოსოფიას. ასევე ითქმის ლესინგის „ჰამბურგის დრამატურგიაზე“, რომელიც ღრმა თეორიული ნაშრომია, რომელიც საუცხოვო ძეგლია კლასიკური ესთეტიკისა და ამავე დროს ეს არის ჰამბურგის თეატრის 1767-1768 წლების სათეატრო სეზონის კრიტიკული მიმოხილვა. ლესინგი ესთეტიკის ურთულესი საკითხების გადაჭრას ჰამბურგის თეატრის სპექტაკლებში ეძებდა. და ამავე დროს ასწავლიდა ამ თეატრს, წინსვლას უადვილებდა.

ეს მჭიდროდ დაკავშირება თეორიისა და პრაქტიკისა ჩვენი ხელოვნების გამარჯვების აუცილებელი პირობაა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი კრიტიკა არასოდეს არ ეხება დრამატურგიას, როგორც ლიტერატურულ ჟანრს. ჩვენ ვწერთ ამა თუ იმ პიესაზე მხოლოდ მაშინ, როცა ის სცენაზე დაიდგმება. სხვა დროს ისინი რატომღაც ჩვენს ინტერესს არ აღვიძებენ.

კრიტიკა უნდა დაეხმაროს თეატრს იმაშიც, რომ ამ უკანასკნელმა გაბედულად დააწინაუროს ახალი ძალები, ახალგაზრდა დრამატურგები, აღმოაჩინოს ახალი სახელები, — ეს ყველაზე სწორი გზაა შემოქმედებითს აღმავლობისაკენ.

ამ ამოცანების ღირსეულად გადაჭრით საბჭოთა თეატრი შესძლებს სრულყოფილად გვიჩვენოს სახე დიადი სტალინური ეპოქისა.

# საკ. კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციას

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოწვეულ იქნას 1941 წლის 15 თებერვლისათვის საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენცია.

**XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის დღის წესრიგი:**

1) პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში.

2) საორგანიზაციო საკითხები.

**წარმომადგენლობის ნორმები და არჩევნების წესი:**

1. პარტიის წესდების § 37 საფუძველზე, XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატები [illegible] წარმომადგენლობის ნორმის მიხედვით:

ა) საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციებიდან, რომლებშიც პარტიის 10.000-ზე მეტი წევრი ჰყავთ, — ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის ყოველ 10.000 წევრზე;

ბ) საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციებიდან, რომლებშიც პარტიის 10.000-ზე ნაკლები წევრი ჰყავთ, — ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

2. [illegible] რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატებს ოლქებიდან, მხარეებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან ირჩევენ პარტიის საოლქო კომიტეტებისა და სამხარეო კომიტეტების პლენუმებზე, ხოლო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში — დელეგატებს რესპუბლიკებიდან ირჩევენ კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე.

3. იმასთან დაკავშირებით, რომ კონფერენციის დღის წესრიგის მთავარ საკითხს წარმოადგენს საკითხი მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში პარტორგანიზაციათა მუშაობის შესახებ—დამატებით ეძლევა თითო მანდატი გადამწყვეტი ხმით პარტიის შემდეგ ქალაქკომებს, რომლებიც სამრეწველო ცენტრებს წარმოადგენენ:

| | |
|---|---|
| 1. მოლოტოვისას | არხანგელსკის ოლქი |
| 2. ბელორეცკისას | ბაშკირეთის ასსრ |
| 3. იშიმბაისას | „ „ |
| 4. ბელოსტოკისას | ბელორუსიის სსრ |
| 5. ვიტებსკისას | „ „ |
| 6. გომელისას | „ „ |
| 7. მოგილევისას | „ „ |
| 8. ლიპეცკისას | ვორონეჟის ოლქი |
| 9. ძერჟინსკისას | გორკის ოლქი |
| 10. ბალახნისას | „ „ |
| 11. ვიქსისას | „ „ |
| 12. მურომისას | „ „ |
| 13. პავლოვისას | „ „ |
| 14. ჭიათურისას | საქართველოს სსრ |
| 15. ქუთაისისას | „ „ |
| 16. ბათუმისას | „ „ |
| 17. კოვროვისას | ივანოვის ოლქი |
| 18. ვლადიმირისას | „ „ |
| 19. შუისას | „ „ |
| 20. კინეშმისას | „ „ |
| 21. ირკუტსკისას | ირკუტსკის ოლქი |
| 22. ჩერემხოვისას | „ „ |
| 23. ყარაგანდისას | ყაზახეთის სსრ |
| 24. რიდერისას | „ „ |
| 25. ბალხაშისას | „ „ |
| 26. ვიშნი ვოლოჩეკისას | კალინინის ოლქი |
| 27. პეტროზავოდსკისას | კარელია-ფინეთის სსრ |
| 28. ვიიპურისას (ვიბორგისას) | „ „ |
| 29. ფრუნზესას | ყირგიზეთის სსრ |
| 30. კიროვისას | კიროვის ოლქი |
| 31. ნოვოროსიისკისას | კრასნოდარის მხარე |
| 32. არმავირისას | „ „ |
| 33. კრასნოიარსკისას | კრასნოიარსკის მხარე |
| 34. ქერჩისას | ყირიმის ასსრ |
| 35. სევასტოპოლისას | „ „ |
| 36. ულიანოვსკისას | კუიბიშევის ოლქი |
| 37. სიზრანისას | „ „ |
| 38. ჩაპაევსკისას | „ „ |
| 39. რიგისას | ლატვიის სსრ |
| 40. ლეპაიისას | „ „ |
| 41. ვოლხოვსტროისას | ლენინგრადის ოლქი |
| 42. პსკოვისას | „ „ |
| 43. ნოვგოროდისას | „ „ |
| 44. კაუნასისას | ლიტვის სსრ |
| 45. ვილნიუსისას | „ „ |
| 46. კიშინიოვისას | მოლდავეთის სსრ |
| 47. ბერეზნიკისას | მოლოტოვის ოლქი |
| 48. კიზელოვსკისას | „ „ |
| 49. კრასნოკამსკისას | „ „ |
| 50. ლისვისას | „ „ |
| 51. სოლიკამსკისას | „ „ |
| 52. ჩუსოვისას | „ „ |
| 53. კოლომნისას | მოსკოვის ოლქი |
| 54. სერპუხოვისას | „ „ |
| 55. ნოგინსკისას | „ „ |
| 56. პოდოლსკისას | „ „ |
| 57. ორეხოვო-ზუევისას | „ „ |
| 58. ეგორიევსკისას | „ „ |
| 59. ელექტროსტალისას | „ „ |
| 60. კლინისას | „ „ |
| 61. კრასნოგორსკისას | „ „ |
| 62. კუნცევისას | „ „ |
| 63. მიტიშჩისას | „ „ |
| 64. უხტომსკისას | „ „ |
| 65. ხიმკისას | „ „ |
| 66. შჩელკოვისას | „ „ |
| 67. მურმანსკისას | მურმანსკის ოლქი |
| 68. კემეროვისას | ნოვოსიბირსკის ოლქი |
| 69. პროკოპიევსკისას | „ „ |
| 70. სტალინსკისას | „ „ |
| 71. ლენინსკ-კუზნეცკისას | „ „ |
| 72. ანჟერო-სუჯენსკისას | „ „ |
| 73. ტომსკისას | „ „ |
| 74. ტიუმენისას | ომსკის ოლქი |
| 75. ორჯონიკიძეგრადისას | ორიოლის ოლქი |
| 76. ბრიანსკისას | „ „ |
| 77. კლინცისას | „ „ |
| 78. შახტისას | როსტოვის ოლქი |
| 79. ტაგანროგისას | „ „ |
| 80. ნოვოჩერკასკისას | „ „ |
| 81. ვოლსკისას | სარატოვის ოლქი |
| 82. ტაგილისას | სვერდლოვსკის ოლქი |
| 83. კრასნოურალსკისას | „ „ |
| 84. რევდისას | „ „ |
| 85. სეროვსკისას | „ „ |
| 86. იარცევისას | სმოლენსკის ოლქი |
| 87. ასტრახანისას | სტალინგრადის ოლქი |
| 88. [illegible] | [illegible] |
| 89. [illegible] | [illegible] |
| 90. [illegible] | [illegible] |
| 91. [illegible] | [illegible] |
| 92. [illegible] | [illegible] |
| 93. [illegible] | [illegible] |
| 94. [illegible] | [illegible] |
| 95. [illegible] | [illegible] |
| 96. [illegible] | [illegible] |
| 97. [illegible] | [illegible] |
| 98. [illegible] | [illegible] |
| 99. [illegible] | [illegible] |
| 100. [illegible] | [illegible] |
| 101. [illegible] | ზაპოროჟიეს ოლქი |
| 102. ლვოვისას | ლვოვის „ |
| 103. ნიკოლაევისას | ნიკოლაევის ოლქი |
| 104. ხერსონისას | „ „ |
| 105. კრემენჩუგისას | პოლტავის ოლქი |
| 106. სუმისას | სუმის ოლქი |
| 107. მაკეევკისას | სტალინის ოლქი |
| 108. კრამატორსკისას | „ „ |
| 109. გორლოვკისას | „ „ |
| 110. არტემოვკისას | „ „ |
| 111. კონსტანტინოვკისას | „ „ |
| 112. ორჯონიკიძისას | „ „ |
| 113. მარიუპოლისას | „ „ |
| 114. სლავიანსკისას | „ „ |
| 115. ჩისტიაკოვისას | „ „ |
| 116. კომსომოლსკისას | ხაბაროვსკის მხარე |
| 117. მაგნიტოგორსკისას | ჩელიაბინსკის ოლქი |
| 118. ზლატოუსტისას | „ „ |
| 119. კამენსკ-ურალსკისას | „ „ |
| 120. გროზნოსას | ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ |
| 121. ორსკისას | ჩკალოვის ოლქი |
| 122. ტალინისას | ესტონეთის სსრ |
| 123. ნარვისას | „ „ |
| 124. კოსტრომისას | იაროსლავლის ოლქი |
| 125. რიბინსკისას | „ „ |

4. დამატებით ეძლევათ თითო მანდატი გადამწყვეტი ხმით რკინიგზის ტრანსპორტის შემდეგ საკვანძო პარტორგანიზაციებს:

| | |
|---|---|
| 1. ბაქაისკისას | ვოროშილოვის სახელობის რკინიგზა |
| 2. ბატრაკისას | კუიბიშევის სახელობის რკინიგზა |
| 3. ბელოსტოკისას | ბელოსტოკის რკინიგზა |
| 4. ბრიანსკის II | მოსკოვ-კიევის რკინიგზა |
| 5. ვილნიუსისას | ლიტვის რკინიგზა |
| 6. ვლადივოსტოკისას | ზღვისპირეთის რკინიგზა |
| 7. ვსპოლიესას | იაროსლავლის რკინიგზა |
| 8. გომელისას | ბელორუსიის რკინიგზა |
| 9. გორკი-განმანაწილებლისას | გორკის რკინიგზა |
| 10. დებალცევო-განმანაწილებლისას | ჩრდილო-დონეცის რკინიგზა |
| 11. ინსკისას | ტომსკის რკინიგზა |
| 12. კოჩეტოვკისას | ლენინის რკინიგზა |
| 13. კრასნი ლიმანსკისას | ჩრდილო-დონეცის რკინიგზა |
| 14. ლენინგრადისას (ლენინგრადი-სამგზავრო) | ოქტომბრის რკინიგზა |
| 15. ლვოვისას | ლვოვის რკინიგზა |
| 16. მოსკოვი-განმანაწილებლისას | ლენინის რკინიგზა |
| 17. ნიჟნედნეპროვსკისას | სტალინის რკინიგზა |
| 18. ორშანსკისას | დასავლეთის რკინიგზა |
| 19. ოსნოვიანსკისას | სამხრეთის რკინიგზა |
| 20. პეტროზავოდსკისას | კიროვის რკინიგზა |
| 21. პეტროპავლოვსკისას | ომსკის რკინიგზა |
| 22. რიგისას | ლატვიის რკინიგზა |
| 23. რუზაევსკისას | პენზის რკინიგზა |
| 24. სვერდლოვსკ-განმანაწილებლისას | კაგანოვიჩის სახ. რკინიგზა |
| 25. ტალინისას | ესტონეთის რკინიგზა |
| 26. თბილისისას | ბერიას სახ. რკინიგზა |
| 27. ტულისას | ძერჟინსკის სახ. რკინიგზა |
| 28. უზლოვაიასას | მოსკოვ-დონბასის რკინიგზა |
| 29. ჩელიაბინსკისას | სამხრეთ-ურალის რკინიგზა |
| 30. იასინოვატკისას | სამხრეთ-დონეცის რკინიგზა. |

5. დამატებით ეძლევათ თითო მანდატი გადამწყვეტი ხმით საზღვაო ფლოტის შემდეგი ნავსადგურების პარტორგანიზაციებს:

| | |
|---|---|
| 1. არხანგელსკისას | 8. მურმანსკისას |
| 2. ბაქოსას | 9. ნოვოროსიისკისაა |
| 3. ბათუმისას | 10. ოდესისას |
| 4. ვლადივოსტოკისას | 11. ფოთისას |
| 5. ლენინგრადისას | 12. რიგისას |
| 6. ლეპაიისას | 13. ტალინისას. |
| 7. მარიუპოლისას | |

6. დამატებით ეძლევათ თითო მანდატი გადამწყვეტი ხმით სამდინარო ფლოტის შემდეგი ნავსადგურების პარტორგანიზაციებს:

| | |
|---|---|
| 1. არხანგელსკისას | 8. მოლოტოვისას |
| 2. ასტრახანისას | 9. მოსკოვისას |
| 3. გორკისას | 10. ნოვოსიბირსკისას |
| 4. იზმაილისას | 11. როსტოვისას |
| 5. კიევისას | 12. რიბინსკისას |
| 6. კრასნოიარსკისას | 13. სტალინგრადისას |
| 7. ლენინგრადისას | 14. ხაბაროვსკისას . |

7. პარტიის ქალაქკომებიდან, რკინიგზის ტრანსპორტის საკვანძო პარტორგანიზაციებიდან და საზღვაო და სამდინარო ფლოტების ნავსადგურთა პარტორგანიზაციებიდან დელეგატების არჩევა ხდება საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე.

8. წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და შინსახკომის ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში მყოფი კომუნისტები XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატების არჩევნებში მონაწილეობას იღებენ საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმებზე საერთო საფუძველზე, როგორც საერთო პარტიულ ორგანიზაციათა ნაწილი.

**საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი**

# მომავალი წლის ახალი წიგნები

## საბლიტგამის საგამომცემლო გეგმა

1940 წელი მიიწურა და საგამომცემლო ორგანიზაციებში გაცხოველებული მუშაობაა იმისათვის, რომ ქართველ საბჭოთა მკითხველს 1941 წელში მიაწოდონ ახალი საინტერესო წიგნები.

ყველგან შედგენილია საგამომცემლო გეგმა, გამორკვეულია წიგნების ტირაჟები და სხვ.

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამაც ჩაატარა სათანადო სამზადისი მომავალი წლის საგამომცემლო გეგმის უზრუნველსაყოფად.

უპირველესად უნდა აღინიშნოს რომ საბლიტგამის 1941 წლის საგამომცემლო გეგმა წინა წლებთან შედარებით გაცილებით უფრო მრავალფეროვანია და ჩვენი ცხოვრების მრავალ საკითხს ეხმაურება.

საგამომცემლო გეგმის მიხედვით მომავალ წელს გამოცემულ იქნება 134 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი — (884 ფორმა) 900 ათასი ტირაჟით.

გეგმა მთლიანად შედგენილია ბავშვთა ყველა ასაკის მოთხოვნილების მიხედვით. ამ გეგმაში არის გათვალისწინებული ახალგაზრდობის მოთხოვნილებებიც.

საგამომცემლო გეგმა დანაწილებულია შემდეგნაირად: მასიურ-პოპულარული ლიტერატურის ხაზით გამოიცემა 17 სახელწოდების წიგნი, მათ შორის არის: სტალინი—ლენინის შესახებ, მოლოტოვი—ახალგაზრდობის შესახებ, ანდრეევი საბავშვო ლიტერატურის შესახებ; მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი მორალის შესახებ (კრებული), მ. გორკის სტატიები ახალგაზრდობისა და ბავშვების შესახებ, კრებული სამოქალაქო ომის გმირების შესახებ, მხატვრული კრებული „კომკავშირი ოცი წლის მანძილზე“ (კრებული მიეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლისთავს) და სხვ.

ქართული მხატვრული ლიტერატურის დარგიდან გამოიცემა თედო რაზიკაშვილის „საბავშვო მოთხრობები“, დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ (ფერადი ილუსტრაციით), ნიკო ლომოურის „ქაჯანა“ (ფერადი ილუსტრაციით), ეკატერინე გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ (ფერადი ილუსტრაციით), გიორგი წერეთლის „რუხი მგელი“ (ფერადი ილუსტრაციით). იაკობ გოგებაშვილის „დევნილი მეგობარი“ (ფერადი ილუსტრაციით), აკაკი წერეთლის „საბავშვო ლექსები და პოემები“, ლექსები და სიმღერები ამხანაგ სტალინზე, ლექსები და სიმღერები ამხანაგ ლ. ბერიაზე, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „შეხვედრა“ (მოთხრობა), ლეო ქიაჩელის „საბავშვო მოთხრობები“, სერგო კლდიაშვილის „აზნაური ლახუნდარელის თავგადასავალი“, ე. პოლუმორდვინოვის „გარღვეული ზღუდეები“, გალაქტიონ ტაბიძის „ახალი ლექსები“, სიმონ ჩიქოვანის „ახალი ლექსები“, გიორგი ქუჩიშვილის „ლექსები“, გრ. აბაშიძის „საბავშვო ლექსები“ და სხვ.

რუსეთისა და უცხოეთის მხატვრული ლიტერატურის ხაზით გამოცემულ იქნება სულ ათი სახელწოდების წიგნი: ლევ ტოლსტოის „კავკასიის ტყვე“, ა. პუშკინის „მეფე სალტანის ზღაპარი“, ვ. კატაევის „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, ა. გოლუბევის „ურჟუმელი ბიჭი“, ი. ბერმანის „რკინის ძერჟინსკი“ (მოთხრობები ძერჟინსკის შესახებ), რ. კიპლინგის „მაუგლი“, რ. კიპლინგის „რიკი რიკი ტავი“, კრებული „როგორ ისვენებდა ლენინი“, ა. ტოლსტოის „ოქროს გასაღები“, ი. ფრანკოს „საბავშვო მოთხრობები“.

26 სახელწოდების მხატვრული წიგნი გამოიცემა სკოლამდელთა ასაკის ბავშვთათვის. მათ შორის არის: გ. ბაიდუკოვის „შეხვედრა ამხანაგ სტალინთან“, ა. წერეთლის „ნობათი“, ა. მაშაშვილის „პირველი მაისი“, კ. ლორთქიფანიძის „ნაძვის ხე“, ი. გრიშაშვილის „ძველი და ახალი თბილისი“, მისივე „ანბანთ ქება“, ი. მოსაშვილის „კიკნას თავგადასავალი“, მისივე „ნადირობა“, ი. სიხარულიძის „ლექსები და პოემები“, ლ. მეგრელიძის „მზია და ფისო“, მ. ბარათაშვილის „ნანული“, ნ. ლომოურის „ყინვა და პატარა მოწაფე“ ნ. ნაკაშიძის „ჩვენი მდინარე“, კ. კალაძის „აყვავებული ქართლის ბაღები“, ხუთი ცეროდენა წიგნი და სხვა.

საბლიტგამი მომავალ წელს აპირებს შეავსოს სასკოლო ბიბლიოთეკები მრავალი ახალი წიგნით. სასკოლო ბიბლიოთეკის სერიის ხაზით გამოცემულ იქნება 59 სახელწოდების წიგნი.

აქედან: ქართული მხატვრული ლიტერატურის ხაზით გამოვა: ალ. ყაზბეგის მოთხრობები (ხევის ბერი გოჩა, ციცია, ელბერდი, ბერდია), გ. ერისთავის „დავა“ და „გაყრა“, ეკ. გაბაშვილის მოთხრობები, ი. ევდოშვილის მოთხრობები, ვ. ბარნოვის „არმაზის მხვრევა“, შ. მღვიმელის ლექსები (მეორე ტომი), უიარაღოს „მამელუკი“, ა. მაშაშვილის ლექსები, დ. შენგელაიას „ბათა ქექია“, ი. აბაშიძის „ლექსები“ და სხვა.

მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურიდან გამოცემულ იქნება პუშკინის „ევგენი ონეგინი“, „ლექსები და პოემები“, მ. ლერმონტოვის „ლექსები და პოემები“, ი. კრილოვის „რჩეული იგავ-არაკები“, მ. გორკის „ბავშვობა“ და სხვა.

უცხოეთის ლიტერატურიდან მომავალ წელს, სასკოლო ბიბლიოთეკას შეემატება: ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდი“, „მანფრედი“ და „კაენი“, ფ. შილერი „ბალადები“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „კაპიტან სტრონფილდის მოგზაურობა ზეცაში“, ფ. კუპერი „უკანასკნელი მოჰიკანი“, ა. დოდეს „ტარტარენ ტარასკონელი“, გ. მოპასანის „მოთხრობები“, ბოკაჩიოს „დეკამერონიდან“ რამდენიმე ნოველა გადამუშავებული ბავშვთათვის, ძმ. გრიმების „ზღაპრები“, ინდიური ეპოსი „რამაიანა“ და ევროპის ლიტერატურის ანთოლოგია.

კრიტიკის ხაზით მომავალ წელს გამოცემულ იქნება: ბ. ბელინსკის „კრიტიკული წერილები“, ი. მეუნარგიას „ქართველი მწერლები“, შ. რადიანის „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია“ და სხვ.

მომავალ წელს სასკოლო ბიბლიოთეკის სერიის ხაზით განსაკუთრებით არის წარმოდგენილი გეოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურა. გამოცემულ იქნება: ნ. კეცხოველის „თოვლიან მთებში“, თ. სახოკია „მოგზაურობა გურია — აჭარა—სამურზაყანო — აფხაზეთში“, ს. კაკაბაძის რამდენიმე ისტორიული ნარკვევი საქართველოს წარსულიდან.

ამავე სერიაში გამოცემულ იქნება რამდენიმე წიგნი ცნობილ ადამიანთა ცხოვრების შესახებ. ტარლეს „ნაპოლეონი“, ნ. აგიაშვილის „სერვანტესი“, მუჯირის „ლეონარდო და ვინჩი“, ლევან ასათიანის „აკაკი წერეთელი“, ოსტროვსკის „სედოვი“, კრებული „სივრცეების დამპყრობი“ (კოლუმბი, მაგელანი, პრჟევალსკი, კოზლოვი, ბარენცი, ბერინგი, პაპანინელები).

ფოლკლორის ხაზით გამოცემულ იქნება „ქართული ხალხური ზღაპრები“ და „ქართული ხალხური ლირიკა“.

ასე გამოიყურება საბლიტგამის გეგმა მომავალ წლისათვის.

19 დეკემბერს საბლიტგამის შენობაში შესდგა თათბირი, რომელზედაც საფუძვლიანად განხილულ იქნა 1941 წლის საგამომცემლო გეგმა. თათბირს ესწრებოდნენ მწერლები, საგამომცემლო მუშაკები, პედაგოგები და სკოლამდელი მუშაკები.

საბლიტგამის დირექტორის ამხ. კ. ჭანტურიშვილის საინფორმაციო მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო გ. ქიქოძემ, ი. სიხარულიძემ, ქ. ჯუღელმა, შ. თაბუკაშვილმა, ალ. სულავამ, ნ. ჩაჩავამ და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გეგმა ძირითადში მოიწონეს, მხოლოდ მოითხოვდნენ რათა მეტი ადგილი დაეთმოს სკოლამდელთა ლიტერატურას, გამოიცეს მათთვის რამდენიმე დასურათებული (რუსული ჟურნალ „ჩიჟის“ ტიპის) ალმანახი.

გარდა ამისა ამხანაგები საჭიროდ სთვლიდნენ მომავალ წელს გამოიცეს რამდენიმე პატარა წიგნი, რომელშიაც მხატვრულად გაშუქებულ იქნება საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ეპიზოდი.

ამავე დროს მათი აზრით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე მხატვრული წიგნების შექმნას (ციტრუსები, კოლხიდის მშენებლობა და სხვა).

# ი. გრიშაშვილის საღამო

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული საღამოების გამართვა ტრადიციად გადაიქცა. იმართება როგორც საერთო ლიტერატურულ საკითხებზე, ისე ცალკე მწერლის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები.

9 დეკემბერს ფილოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ბიუროს ინიციატივით მოეწყო ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი საღამო.

პოეტის შემოქმედების გარშემო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ა. ნაჭყებია? ნაჭყეიშვილი. სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტებმა დ. გამეზარდიშვილმა, ტრიპოლსკიმ და ახალგაზრდა პოეტმა ა. თევზაძემ. ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ფაკულტეტის სტუდენტებმა თ. ჯანუაშვილმა, მ. ოქროპირიძემ და სხვ.

ი. გრიშაშვილის ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა ი. ნონეშვილმა.

პირველი განყოფილების დასასრულს ი. გრიშაშვილმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი. საღამოზე დამსწრე სტუდენტობა პოეტს დიდის აღფრთოვანებით შეხვდა.

საღამოს მეორე ნაწილში პოეტის პატივსაცემად მოეწყო კონცერტი, რომელშიაც ადგილობრივი ძალები იღებდნენ მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდიას ახალი წიგნი „ბელადი"

## საჯარო განხილვა მწერალთა კავშირში

7-9 იანვარს, მწერალთა კავშირმა მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანის „ბელადის" საჯარო განხილვა.

სალამო გაიხსნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. **ირაკლი აბაშიძის** შესავალი სიტყვით. იგი მოკლედ შეეხო კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითს გზას, აღნიშნა, თუ რამდენად უჭირდა სიტყვის ამ შესანიშნავ ოსტატს წინათ ახალ თემატიკაზე მუშაობა და სოციალისტური რეალიზმის მეთოდზე გადასვლა. წინამდებარე რომანი წარმოადგენს ახალ ნაბიჯს, ახალ ეტაპს ამ მწერლის შემოქმედებაში, რამდენადაც მან ამ რომანში სცადა ისეთი თემის დამუშავება, რომლის მხატვრული გახსნა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით არის შესაძლებელი.



## დ. ბენაშვილის მოხსენება

დიდი **სტალინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა კონსტანტინე გამსახურდიას განზრახული აქვს ტრილოგიად. განსახილველი წიგნი არის ტრილოგიის პირველი ნაწილი და ეხება **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის წლებს. დიდი ბელადის ცხოვრების ეს პერიოდი მეტად რთული და პასუხსაგები თემაა. სიტყვის ოსტატს ამ თემის დამუშავებისას უვალ გზაზე უხდება სიარული. ბელადის ცხოვრების ამ პერიოდს ჯერ არც ერთი მწერალი არ შეხებია, ე. ი. ჯერ არა გვაქვს ბელეტრისტული წინამძღვრები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ჩვენ მწერალს თავისი შემოქმედებითი განზრახვის განხორციელების დროს. პირველი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს ამ ნაწარმოების განხილვისას, არის: „ბელადის" ავტორი გვაძლევს სულს ადამიანისას, თუ მხოლოდ მის ფოტოგრაფიულ პორტრეტს? ამ კითხვაზე პასუხისგაცემისას გვაგონდება ჰეინეს შემდეგი სიტყვები: „ჩემი ცხოვრების მანძილზე არა ერთხელ მიფიქრია დიდ ადამიანებზე, განსაკუთრებით იმ ადამიანებზე, რომლებიც არა მარტო დაღს ასვამდნენ დროს, არამედ ჰქმნიდნენ კიდეც მთელს ეპოქებს. ყოველთვის, როცა კი მათზე ლექსების წერას შევუდგებოდი, ჩემდა უნებურად ვგრძნობდი მათდამი არა მარტო მოკრძალებას, არამედ შიშსაც. ვცდილობდი მათი სულის გამოსახვას. სამწუხაროდ, მხოლოდ პორტრეტი გამოდიოდა, პორტრეტი, რომელსაც მთელი მსოფლიო ჩემდა დამოუკიდებლად იცნობდა. დამწუხრებული ვტოვებდი სამწერლო მაგიდას და ისევ ოცნებას ვეძლეოდი. სიტყვაში ვერ ჩავტიე დიდ ადამიანთა სული. მე უძლურებას ვგრძნობდი ჩემი თავის წინაშე. დიდება იმათ, რომელთაც ძალა ეყოფათ ამ საქმის ასასრულებლად!" ეს პასუხისმგებლობა ერთი ათასად იზრდება, როდესაც საქმე ეხება ისეთი დიდი ისტორიული პიროვნებების ასახვას, როგორიც იყო **ლენინი** და როგორიცაა დიდი **სტალინი**, — ადამიანების, რომლებმაც დაიწყეს ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. „ბელადის" ავტორმა იკისრა ეს პასუხისმგებლობა. ჯეროვნად მან სცადა საბჭოთა მკითხველის თვალწინ წარმოესახა დიდი **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის წლები. მან მოუხმო მთელ თავის შემოქმედებითს შესაძლებლობას და სიტყვის იმ დიდ კულტურას, რომელიც მას მოეპოვება. განსახილველ რომანში იგრძნობა მისი სიტყვის ძალა. კ. გამსახურდიამ დაამტკიცა, რომ შესანიშნავად ჰფლობს ქართულ სიტყვას, როგორც მასალას, არა მარტო ბუნებისა და ცხოვრების გარეგნული მოვლენების გადმოსაცემად, არამედ ადამიანის შინაგანი ვითარების დასახატავად. იმისათვის, რომ გამსახურდიას სრული დამაჯერებლობით და სისავსით წარმოედგინა ბავშვობა და ყრმობა დიდი ბელადისა, მან შექმნა მთელი გალერეა ტიპებისა, რომელთა ცხოვრების მხატვრული აღწერა მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელ პოლიტიკურ-სოციალურ და ყოფაცხოვრების ვითარებაზე. ამ ტიპებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი ადამიანი—უფლისა არაბული და მიხა ქილიფთარი. უფლისა არაბული რომანში გამოყვანილია როგორც სიმბოლო ხალხის სიმტკიცისა, გაუტეხლობისა და სულიერი სიმაღლისა. გამოჩენისთანავე უფლისა არაბულს ჯუღაანთ ოჯახში შეაქვს სილაღე, სიხარული, უსაზღვრო სიყვარული პატარა სოსოსადმი. უფლისა არაბულის სახე არის სიმბოლო სიბრძნით დამძიმებული ადამიანისა.

ამ გმირს რომანში უპირისპირდება მეორე სახე — მიხა ქილიფთარი. ეს გმირი სახეა მაშინდელ სინამდვილეში გზიდან ამცდარი ადამიანისა, რომელიც მწიგნობრული სიბრძნის მატარებელია და არ არის მოკლებული ზოგიერთ მორალურ-იდეურ ღირსებას. ორივე ეს პერსონაჟი ავტორს ისეთი სიცხოვლით ჰყავს დახატული, მათს სულიერ თვისებებს იგი ისე ღრმად გადმოგვცემს, ამასთან ავტორი ისეთი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიჩვენებს მამუკა არაბულს, გაგა არაბულს, ცოქალას და სხვათა სულის მოძრაობას, რომ სრული საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ,—კონსტანტინე გამსახურდია ხატავს ადამიანის სულს და არა მის მხოლოდ გარეგნულ პორტრეტს. მან ასეთივე სიძლიერით მოგვცა პატარა სოსო ჯუღაშვილის ის დიდი მორალურ-სულიერი სიმაღლე, რომელიც საფუძვლად დაედვა ამ დიდი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ამ უდაო ღირსებებისა, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ რომანი უნაკლო იყოს. რომანის ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ მისი ცალკე თავები მჭიდროდ არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და დამოუკიდებელი ეპიზოდების შთაბეჭდილებას სტოვებენ. შემდეგ: რომანის სტილი მთლიანად რეალისტურია, მაგრამ აქა-იქ მაინც თავსა ჰყოფს წინანდელი მანერა კ. გამსახურდიასი. არ შეიძლება ავტორს არ ვუსაყვედუროთ ისიც, რომ წინანდებურად ამ რომანშიაც იგი ძალზე გატაცებულია ეროტიული ამბების აღწერით. რომანს აქვს სხვა ჩრდილოვანი ადგილებიც, მაგრამ რა ნაკლიც არ უნდა აღვნიშნოთ მას, იგი, როგორც მაღალმხატვრული ნაწარმოები, ჰკაფავს გზას აღებული თემის უფრო სრულყოფილი დამუშავებისათვის. სწორედ ამაშია მისი დიდი მნიშვნელობა.

მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი.

## პ. ინგოროყვას სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი რომანი „ბელადი" უცილობლად მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და არა მარტო ქართულ ლიტერატურაში. ბიოგრაფიული რომანი ბელადზე — ურთულესი მხატვრული მოვლენაა. ეს არის თავისებური შერწყმა პოეზიისა და სინამდვილისა. ეს არის სინამდვილის გადატანა პოეზიის სფეროში ისეთის სისათუთით, რომ სინამდვილის ქსოვილი მთლიანად და გამჭვირვალედ სჩანდეს. კერძოდ, ბიოგრაფიულ რომანს სტალინის შესახებ მრავალგვარი სირთულე ახლავს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საგანი ბიოგრაფიული რომანისა ამ შემთხვევაში არის თვით **სტალინი** — უბრწყინვალესი და უდიდესი გენია კაცობრიობისა, რომლის აღქმა და ასახვა ურთულეს მხატვრულ ამოცანას წარმოადგენს. რამდენად დასძლია კონსტანტინე გამსახურდიამ ეს უდიდესი თემა?

იმ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის, რაც ამხანაგ **სტალინის** შესახებ დაიწერა როგორც ქართულად ისე სხვა ენებზე, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი უეჭველად ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მხატვრულად გამართლებული ნაწარმოებია. რომანი გამსჭვალულია სიყვარულით დიდი ბელადისადმი. ამხანაგ **სტალინის** სახე ბავშვობისას განსაკუთრებული მხატვრული [illegible] არის გაშლილი. პოეტურ თხრობაში, რომელიც ზოგადად მისდევს ბიოგრაფიულ ქარგას, ჩვენ ვიმსჭვალებით სიყვარულით ყრმა **სტალინისადმი**, ვგრძნობთ იმ ჭეშმარიტ კეთილშობილებას, რომლითაც აღსავსეა მისი გული, ვგრძნობთ ყრმას, რომლისაგანაც შემდეგ უნდა წარმოიშვას ვაჟკაცი, მაღალი დანიშნულებისათვის მოწოდებული. ყოველივე ეს მოცემულია ყოველგვარი დეკლარაციებისა და შტამპის გარეშე, ფაქიზად შემოქმედი ხელოვნებით, სიყვარულით დახატულ სურათებში. მთელი რომანი აღბეჭდილია წმინდა ქართული კოლორიტით. გაცოცხლებულია ქართლის ნათელი ბუნება. გაცოცხლებულია მთელი ქართული გარემოცვა, რაც ნამდვილი მხატვრული სრულყოფით არის შესრულებული.

## ს. კლდიაშვილის სიტყვა

უდავოა, თუ რა სირთულეს წარმოადგენს ბიოგრაფიული რომანის დაწერა ბელადზე. ამხანაგ კონსტანტინე გამსახურდიამ აღმოაჩინა ჭეშმარიტი ოსტატის დიდი უნარი. მხატვრული ალღო და გამოცდილება გამოადგებოდა ამ სირთულეს. თავისი ახალი რომანით მან შექმნა უაღრესად საგულისხმო მხატვრული ნაწარმოები, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძალიან დიდია. უეჭველია, რომანი „ბელადი" მოსაწონ საკითხავ წიგნად გადაიქცევა არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში და მის გარეთ. ამიტომ გვმართებს ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობით მივუდგეთ ამ ნაწარმოების გარჩევას და წაუყენოთ მას უფრო მეტი მოთხოვნა, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწარმოებს ვუყენებთ. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ რომანი [illegible] ლებს ყოველ მკითხველს, რომელიც კ. გამსახურდიას იცნობს მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების მიხედვით. პირველ ყოვლისა თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ავტორი ამ ახალ რომანში გვევლინება როგორც ახალი მანერის მწერალი. ხედვა, თვისება და გადმოცემა ადამიანებისა და მოვლენებისა ამ ნაწარმოებში მას რეალისტური აქვს. შეცვლილია მისი ენაც. მას მეტი სიხალე და მეტი სისადავე ახასიათებს. იგი განტვირთულია კ. გამსახურდიასათვის წინა ნაწარმოებებში დამახასიათებელი არქაულ ლექსიკისა და სინტაქსისაგან. მწერლის თხრობა სიმსუბუქით აღწევს განსაკუთრებით იმ თავის შემდეგ, რომელსაც „ტონითი" ეწოდება. რომანის სიუჟეტიც ამ ადგილიდან უფრო მძაფრად და დინამიკურად ვითარდება. პირველ თავში ავტორს აქვს ადგილები, რომელნიც რამდენადმე შორდებიან ნაწარმოების მაგისტრალურ ხაზს. შემდგომ თავებში უფრო მეტი კანონზომიერებით წარმოგვისახავენ იმ გარემოს, რომელშიც ბელადის ბავშვობა და ყრმობა მიმდინარეობდა.

შედარებით უფრო ძუნწად არის წარმოდგენილი ის ეპიზოდები, რომლებიც უშუალოდ ყრმა სოსოს და მისი მშობლების ცხოვრებას გამოხატავენ. უფრო მკვეთრად და ცხოვლად მოსჩანან სხვა პერსონაჟები, რომლებიც აუცილებელნი არიან იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს ყრმა სოსოს იმდროინდელი გარემოცვა. სამწუხაროდ ნაკლებად სჩანან რომანში ბელადის დედ-მამა, ისინი იშვიათად თუ გამოჩნდებიან და მაშინაც ვერ სტოვებენ კვალს მკითხველის მეხსიერებაზე. ბელადის ბავშვობის დროინდელი სოციალური ვითარება და ყოფა სისრულითა და სინათლით არის განსახიერებული რომანის მთავარი პერსონაჟების — უფლისა არაბულის, მისი ოჯახის, მიხა ქილიფთარისა და ამილახვრების თავგადასავალში. ამ სურათს ავსებს აგრეთვე სასულიერო სასწავლებლისა და მისი ერთ-ერთი მთავარი ფიგურის ლავროვის მხატვრული ასახვა. უფლისა არაბული, ძამუკა, გაგა სრული მხატვრული დამაჯერებლობით ჰყავს ავტორს წარმოსახული. განსაკუთრებულ ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ხალხოსან მიხა ქილიფთარის სახე. ყველა თავისი უცნაურობით იგი მკითხველის საყვარელ გმირად ხდება. იმ დროინდელმა ცხოვრებამ ქილიფთარისებური ადამიანები წარმოშვა, მაგრამ ქართულ ლიტერატურას იგი არ ასახავს. ეს არის გამორჩეული სახე ჩვენს მწერლობაში და კ. გამსახურდიამ ეს დანაკლისი შეავსო. ჩემის აზრით, ავტორმა მიხა ქილიფთარი ადრე მოაშორა თავის ნაწარმოებს. მკითხველს სურს, რომ იგი კვლავ მისდევდეს ნაწარმოების განვითარებას. ავტორს შესაძლებლობა აქვს, კვლავ გვიჩვენოს იგი ახალს გარემოებაში.

## ლ. ასათიანის სიტყვა

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი წიგნი მისი ავტორის უდიდესი გამარჯვებაა საერთოდ მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამ წიგნით იწყება ახალი ადამიანის უფრო სრული და გაშლილი ჩვენება. უეჭველია, ავტორი დიდი სირთულის წინაშე იდგა, რამდენადაც მის წინაშე დასმული იყო ამოცანა — აესახა გიგანტი ჩვენი ეპოქისა.

ავტორმა მიმართა თავისებურ მხატვრულ მეთოდს — ნაწარმოები ორ სიუჟეტურ ხაზზე ააგო. ერთი ხაზია ფაქტიურ-ბიოგრაფიულ მასალაზე დამყარებული თხრობა, ხოლო მეორე — მოგონილი ამბები, სიტუაციები და ადამიანები. უეჭველია, ამ მეთოდმა შესანიშნავი მხატვრული ეფექტი მოგვცა. მან იშვიათი ოსტატობით, სრული მხატვრული დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა დიდი ბელადის ბავშვობის ცალკეული მომენტები. თავის-თავად ეს ბიოგრაფიული ამბები დიდი მხატვრული ტილოს მასალაა, მაგრამ კომპოზიციურად ცალ-ცალკე აღებული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემული ეს მასალა ვერ შექმნის რომანს. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილი და კანონზომიერი გამოდგა მოგონილი სიტუაციების, სახეების მომარჯვება, რაც ჰქმნის დრამატიზმს, კოლიზიას, დინამიკას, სიუჟეტის ერთ მთლიან წამყვან ხერხემალს. ამ მეორე ხაზმა მწერალს მისცა მეტი ასპარეზი და სარბიელი ფართოდ აესახა ის გარემოცვა, რომელშიაც ამხანაგი **სტალინი** იზრდებოდა.

რომანის მაგისტრალთან ორგანიულად დაკავშირებული ბიოგრაფიული მომენტები ამხანაგ **სტალინისა** მკაფიო წარმოდგენას გვაძლევენ პატარა ბავშვის მორალურ თვისებებზე. სოსოს სახით ჩვენ ვხედავთ დიდად ნიჭიერს, მტკიცე ხასიათის, ამხანაგების გამტან, უსამართლობის მოძულე, ცოდნის შეძენის წყურვილით გატაცებულს გაბედულ ახალგაზრდას. მაგრამ ეს ხაზი რომანში ისე ძლიერ არ არის მოცემული, როგორც მეორე ხაზი. უფლისა არაბული, ქილიფთარი, მამუკა, გაგა, ცოქალა იმდროინდელი ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ცოცხალი ადამიანები არიან. რომანის შესანიშნავი ადგილებია: უფლისა არაბულის დალოცვა, ბავშვების შეხვედრა ამილახვრის შვილთან, პირველი გაცნობა „ქართლის ცხოვრებიდან" ამოკითხული ამბებისა, მიხა ქილიფთარის საუბრები სოსოსთან და მის ტოლებთან, უკანასკნელი მგზავრობა ატენში და სხვა. აღნიშნავს რა ამ ღირსებას, ორატორი გამოსთქვამს ერთგვარ დაუკმაყოფილებლობას იმის გამო, რომ ავტორმა უფრო მკვეთრად და გარკვეულად ვერ გვიჩვენა სტალინის მშობლები, ის პოლიტიკური, იდეური და კულტურული ატმოსფერა, რომლითაც სუნთქავდა ბელადი, რომ ავტორმა მთელი სისრულით ვერ წარმოგვიდგინა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ის სიმწვავე, რომელსაც მაშინდელი ქართველი მშრომელი ხალხი და მოწინავე ინტელიგენცია განიცდიდა.

## დ. სულიაშვილის სიტყვა

კ. გამსახურდიამ თავის ახალ რომანში მონახა ის ხერხი, რომელმაც მას საშუალება მისცა ბელადის ბიოგრაფიულ მასალაზე შექმნა საინტერესო სიუჟეტიანი ნაწარმოები რეალური ხასიათებით, წარმტაცი პეიზაჟებით, რომანი, რომელსაც ბოლომდე მოუწყენლად ვკითხულობთ. ავტორს მშვენივრად აქვს ასახული მთელი გვარეულობა უფლისა არაბულისა, თვით უფლისა. გაგა, მამუკა და სხვები. მიხა ქილიფთარის სახით ავტორმა შექმნა ჩვენი ქვეყნის დაჩაგრული ვითარებით წარმოშობილი ზედმეტი ადამიანის ტიპი. მხატვრული სისრულით აგვიწერა და დაგვანახვა მან ამილახვრების ცხოვრება. მთავარი ისაა, რომ ავტორმა მოგვცა ის გარემო, რომელშიაც აღიზარდა ბელადი. ეს არის საქართველოს ნიადაგი, ტანმაგარი, ქარმაგი, ძლიერი, პატიოსანი მშრომელი, ცხოვრების სიბრძნით აღჭურვილი და ამავე ცხოვრებით გატანჯული ხალხი.

ავტორი რომ ნამდვილი გორის ცხოვრებიდან აღებულ ამბებს გაჰყოლოდა მხოლოდ, ჩემის აზრით რომანი ასეთი ძლიერი ვერ გამოვიდოდა. მაგალითად, ქილიფთარის მაგიერ რომ რომელიმე ნამდვილი მაშინდელი ხალხოსანი, ვთქვათ, ს. მგალობლიშვილი გამოეყვანა, მაშინ ვერ მივიღებდით განზოგადოებულ სახეს, რადგან ავტორი შებოჭილი იქნებოდა კონკრეტული პიროვნების ხასიათით და მისი ბიოგრაფიის ფაქტებით.

თავის მთავარ გმირს, ახალგაზრდა სოსოს, ავტორი დიდის მოკრძალებით და სიყვარულით ეპყრობა. მისი ყოველი მოძრაობა, ლაპარაკი, ქცევა კ. გამსახურდიას უდიდესი სიზუსტით აქვს გაზომილი და გადმოცემული. ჩვენს თვალწინ ცოცხლად მიმდინარეობს პატარა სოსოს ცხოვრება. ნათლად ვხედავთ, თუ რა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყრმა სოსო მის გარშემო მომხდარ ამბებს, რა ინტერესით ეწაფება იგი ცოდნას, რა კითხვებით მიმართავს ქილიფთარს, როგორ იზრდება იგი სულიერად და ფიზიკურად.

კ. გამსახურდიას დიდი მხატვრული ნიჭი, გულმოდგინება, შრომის მოყვარეობა და განსაკუთრებული სიყვარული ამ თემისადმი თავისას გაიტანს და იგი შემდგომ ორ წიგნშიაც გამარჯვებული გამოვა.

## ს. ჩიქოვანის სიტყვა

ლიტერატურის ისტორიამ იცის ორი ტიპის ბიოგრაფიული რომანი. ერთი წმინდა ფაქტიურ-დოკუმენტალურ მასალაზე დამყარებული, მეორე — ფაქტიური მასალისა და პოეტური ფანტაზიის შეთავსებაზე დაფუძნებული. უახლეს ევროპულ ლიტერატურიდან პირველი ხასიათის ასეთი ნაწარმოებია მოროას ბიოგრაფიული რომანი ბაირონზე, ხოლო ფაქტიურ-დოკუმენტალური მასალისა და პოეტური გამოგონების შერწყმის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობიანობა". კ. გამსახურდიამ თავისი რომანის „ბელადის" წერის დროს არც ერთ ამ მეთოდს არ მიმართა და აირჩია მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ორივე აღნიშნული მეთოდის შეთავსებას. იმ მიზნით, რომ დიდი ბელადის გარშემო არსებული ფაქტიური მასალისათვის მიეცა სიმძაფრე და დრამატიზმი, კ. გამსახურდიამ თავის რომანში შემოიყვანა გამოგონილი პერსონაჟები და ისტორიულად არმომხდარი ამბები. მის მიერ დახატული გამოგონილი გლეხები მოცემული არიან რემბრანდტისებური საღებავებით, მთელი სიმკვეთრით და ხორცშესხმულობით. უფლისა არაბული მეტად მტკიცე, მკვეთრი ხასიათის პერსონაჟია. მწერალმა მას მიმართა იმისათვის, რომ ეჩვენებინა, თუ როგორი ადამიანები ახდენდნენ გავლენას ყრმა სოსოზე. არაბული მონაწილეობას იღებს ახალგაზრდა **სტალინის** არა იდეურ ფორმაციაში, არამედ მტკიცე ხასიათისა და ნებისყოფის გამომუშავებაში. არაბულთა ოჯახის გარშემო დატრიალებული ამბები მძაფრ დრამატიულ მომენტებს შეიცავენ და მკითხველს იმდენად იტაცებენ, რომ ხშირად აშორებენ ფაქტიური მასალის მიხედვით შექმნილი სიუჟეტის მიმდინარეობას. რომანის მთელს მანძილზე ასეთი ფარული შინაგანი ბრძოლა სწარმოებს ფაქტიურ და პოეტურ მასალას შორის და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ბრძოლა ხშირად მეორე საწყისის სასარგებლოდ მთავრდება.

რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის მიხა ქილიფთარის სახე რელიეფურად არის გამოკვეთილი. იგი მკითხველში სიმპატიას იწვევს, მისი ეროვნულ-პატრიოტული კეთილშობილება და რომანტიული განწყობილება წარსულისადმი მკითხველს მოსწონს, მაგრამ მისი იდეურ-მორალური თვისებები ავტორს მაინც არ აჰყავს იმ სიმაღლემდე, რომ ვიფიქროთ, თითქოს მას შეეძლოს რაიმე სულიერი საზრდო მისცეს ახალგაზრდა **სტალინს**, თითქოს მას შეიძლოს რაიმე მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდა **სტალინის** იდეურ ჩამოყალიბებაში. ქილიფთარი ყოვლად უმოქმედო ადამიანია, იგი მოკლებულია მომავლის განჭვრეტის, პერსპექტივების უნარს, იგი იმედდაკარგული კაცია. ცხადია, **სტალინი** მისგან ვერაფერს ვერ შეითვისებდა. კარგად არის ასახული და დახასიათებული ამილახვრების ოჯახი, მისი დამოკიდებულება არაბულებთან და საერთოდ გლეხობასთან, მაგრამ, რადგან მათი სიმკაცრე და სისასტიკე ხაზგასმული არ არის, იგი მკითხველში პროტესტს არ იწვევს, ამის გამო რომანი რამდენადმე მოკლებულია სოციალურ სიმახვილეს.

ეხება რა ავტორის მანერასა და სტილს ამ რომანში, ამხ. ს. ჩიქოვანი აღნიშნავს, რომ კ. გამსახურდიამ უთუოდ გამონახა შესაფერი სტილი აღებული თემისათვის. თავისი მხატვრული ენა მან თემის ხასიათს დაუმორჩილა და ამით ძალიან ახლო მივიდა წერის რეალისტურ მანერასთან. ამხ. ს. ჩიქოვანი ეხება ზოგიერთ ადგილს, სადაც ავტორის რეალისტური თხრობის ტონი დარღვეულია. ასეთია, მაგალითად, ის ადგილი, როცა ავტორი მთელი მონუმენტალობით და ექსპრესიით აგვიწერს ქარს. მთელი თავისი სტიქიონური ძალით ქარის მოცემა იმისათვის, რომ მან ბიუროკრატ მასწავლებელს კაკარდიანი ქუდი გადააძროს, ცოტა არ იყოს, გროტესკის შთაბეჭდილებას ახდენს. ორატორი ჩამოსთვლის რომანში შემჩნეულ ზოგიერთ შეუსაბამობას, მაგალითად, მაქსიმ გორკი კ. გამსახურდიას ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში წარმოდგენილი ჰყავს ცნობილ მწერლად და ისეთივე გარეგნობით, როგორისაც მას, გორკის, უკანასკნელ წლებში ვიცნობდით. თვით ავტორის ჩვენებით, თამაზ ამილახვარი ასაკით ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდაა, რომ მას არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი ეროტიული გატაცებანი, როგორადაც ავტორი წარმოგვიდგენს. გაგა არაბული ასაკით იმდენად უფროსია სოსოსა და მის ამხანაგებზე, რომ არაბუნებრივად გვეჩვენება მათი ასე ახლო მეგობრობა. მაგრამ ყველა ეს ნაკლი უმნიშვნელოა იმ დიდ მხატვრულ გამარჯვებასთან შედარებით, რომელსაც კ. გამსახურდიამ ამ ახალი თავისი ნაწარმოებით მიაღწია.

## ა. ადამიას სიტყვა

კ. გამსახურდიას „ბელადი" უაღრესად თავისებური ნაწარმოებია. ნაწარმოებში აღებული თემა მეტად პასუხსაგებია. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ასეთ ნაწარმოებზე ვმსჯელობთ. წიგნში მოცემულია ამხანაგი **სტალინი** დაბადებიდან ვიდრე თბილისში ჩამოსვლამდე. ჩვენ აქ ვხედავთ **სტალინს** ჯერ ნორჩს და შემდეგ დაჭაბუკებულს, მაგრამ აქ მას ჩვენ ისე ვერა ვგრძნობთ, როგორც სხვა გმირებს, მაგალითად, როგორც უფლისა და გაგა არაბულებს, მიხა ქილიფთარს, ცოქალას, რომლებიც დიდი მხატვრული ძალით არიან დახატულნი. სოსოს აღმზრდელად უფრო მიხა ქილიფთარი და მისი მეუღლე ცოქალა სჩანან, ვიდრე სოსოს მკვიდრი მშობლები — ეკატერინე და ბესარიონი. სოსოს დაბადების შემდეგ მშობლები მივიწყებული რჩებიან, მხოლოდ ერთხელ გამოჩნდებიან ისინი, როცა ეკატერინე ამილახვრების ოჯახში ხელსაქმობს, ხოლო ბესარიონი უფლისა არაბულს ესაუბრება თავის ოჯახში. ცხადია, ავტორს არ შეეძლო **სტალინი** განმარტოებით მოეცა, იგი გამოყვანილია ტოლ-მეგობრების წრეში, მაგრამ ფერებსა და საღებავებს უფრო მოჭარბებით ამ უკანასკნელებზე ხარჯავს, **რაც მართებული არ არის**.

შემდეგ ორატორი ფიქრობს, თითქოს რომანის ცალკე თავებს შორის ორგანიული კავშირი არ არსებობდეს, თითქოს ყოველი მომდევნო თავი დამოუკიდებელი იყოს.

ეს ჩემი მცირედი შენიშვნები, — ამბობს დასასრულ ამხ. ადამია, — ოდნავადაც არ ბღალავს რომანის უდიდეს მხატვრულ ღირსებას. თუ დავსვამთ კითხვას, როგორაა დაწერილი კ. გამსახურდიას ტრილოგიის პირველი წიგნი, პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: იგი დაწერილია ფრიადზე.

## ბ. ჟღენტის სიტყვა

დიდი **ლენინისა** და დიდი **სტალინის** სახე საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა მწერლობის უაღრესად მიმზიდველ და საყვარელ თემად გადაიქცა. ეს თემა აძლევს გეზს, მიმართულებას მწერლობას, მიჰყავს იგი ხალხურობისაკენ, სოციალისტური რეალიზმისაკენ, საბჭოთა ეპოქის შესაფერი მწერლობისაკენ.

შემდეგ ორატორი გადადის რომანის ანალიზზე და იზიარებს მომხსენებლის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა ძნელია ბელადის ბავშვობის მხატვრული აღდგენა. სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ბელადის ყრმობა ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს როგორც გენიალური ადამიანის ყრმობა. ჩვენ ყოველი მხატვრისგან მოვითხოვთ არ შებღალოს ჩვენი ასეთი წარმოდგენა, დაიცვას იგი ისე, რომ ბავშვს არ მიაწეროს ისეთი თვისებები, რომელნიც დაარღვევენ ბუნებრიობას და ფსიქოლოგიურ სიმართლეს. კ. გამსახურდიას გამარჯვება სწორედ იმაშია, რომ იგი გაუმკლავდა ამ სიძნელეს. ყრმა **სტალინს** იგი გვიხატავს სავსებით ბუნებრივს მდგომარეობაში და ამასთან აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას, ჩვენს წარმოდგენას მასზე. ავტორმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ყრმა სოსოში ბავშვობიდანვე მოცემული იყო ის საწყისები, რომლებიდანაც წარმოიშვა გენიალური ადამიანი, ხალხთა დიდი ბელადი. ავტორმა სრული დამაჯერებლობით, დიდი სიფაქიზით და ზომიერებით დაგვანახა ყრმა **სტალინში** ეს საწყისები: რაინდობა და ვაჟკაცობა, მგზნებარე გული ამხანაგებისადმი, მძულვარება და პროტესტანტული სული ამილახვრებისადმი, მისი ყრმული ოცნება ცხოვრების გარდაქმნაზე, მისი სულიერი დრამა და გულის ტკივილი (როცა იგი ხედავს მამუკა არაბულის ჩამოხრჩობას). ზოგჯერ ამ თვისებების მაჩვენებელი რეალისტურად ასახული ეპიზოდები სიმბოლიურ მნიშვნელობას ღებულობენ (მაგალითად, როცა უფლისა არაბული გვიმრას ამოგლეჯს და გვიმრიან ხელს გაუწვდის ჩვილს, რომელმაც ფეხი უნდა აიდგას, ამით მწერალი გამოხატავს იმას, რომ ჭირნახული მშრომელი ქართველი ხალხი ეგებება და ხელს უწვდის თავის მომავალ ბელადს).

რასაკვირველია, ავტორი რეალურ ხასიათებს და სიტუაციებს ვერ მოგვცემდა, რომ მას ოსტატურად არ დაეკავშირებინა ფაქტიური მასალა გამოგონილთან, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ პროპორცია დაცული არ არის. ფონი უფრო ძლიერად და სისრულით არის მოცემული, ვიდრე მთავარი გმირი. სასწორი გადახრილია გამოგონილი სიტუაციებისა და პერსონაჟებისაკენ. მეორე, რაც ვერ აკმაყოფილებს მთლიანად ჩვენს მოთხოვნას, არის ის, რომ ავტორი სათანადო ექსპრესიით ვერ გადმოგვცემს ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას და ამასთან მის გაუტეხელ იმედს და ოცნებას მომავალზე. სისრულით არა აქვს მას აღდგენილი ყრმა **სტალინის** კულტურული გარემოცვაც და ის სულიერი წყარო, რომლითაც სოსო საზრდოობდა. ცნობილია, რომ ყრმა **სტალინი** გატაცებული მკითხველი იყო ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ყაზბეგისა, ვაჟა-ფშაველასი, რომელთაგანაც მან შეითვისა პირველად ჰუმანისტური დამოკიდებულება ადამიანებისა და მშრომელი ხალხისადმი. მიხა ქილიფთარი არ ატარებს ისეთ მაღალ ინტელექტუალურ და მორალურ თვისებებს, რომ იგი ჩავთვალოთ დიდი **სტალინის** პირველი ბიძგის მიმცემ პიროვნებად. მასში არ არის ოდნავ პროტესტანტული სული, იგი პასიური და უმოქმედოა, პასეისტია, რომელიც მხოლოდ წარსულისკენ იყურება. ვფიქრობ, იმდროინდელ ვითარებაშიც მოიძებნებოდნენ უფრო ძლიერი ინტელექტუალურ-მორალური ფაქტორები, ვიდრე ეს ავტორს წარმოდგენილი აქვს მიხა ქილიფთარის სახით.

ამხ. ბესო ჟღენტის სიტყვით დამთავრდა კამათი.

სიტყვა მიეცა ავტორს.

## კ. გამსახურდიას სიტყვა

მე მუდამ დიდად ვღელავ, ვიდრე წიგნის უკანასკნელი ფორმა მანქანაზე გავა. მერმე წავა იგი. ყოველ წიგნს, როგორც ძველები იტყოდნენ, თავისებური „ბედი აქვს". აქაც ოდნავ ღელავს ავტორი ომში მიმავალი შვილის დედასავით. როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ბელადის შესახებ მხატვრული ნაწარმოების დაწერის უდიდესი სიძნელე, რამდენადაც იგი ჯერაც გაუტკეპნელი ყამირია, განსაკუთრებით პროზაში.

ჩვენ ვიცით, რომ ზედმეტი ადამიანების თემას, თუნდაც ახალგაზრდა კაცის ისტორიის მრავალი ტრანსპარანტი აქვს. ცნობილია და მრავალგზის ნაცადი აზნაურთა ბუდეების დანგრევის, ჩიაკაცების თემები. აქ კი, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მე არც გზა მეგულვებოდა სადმე და არც ბილიკი, არც თუ წინამორბედი მთელს მსოფლიო ლიტერატურაში.

ამხ. ს. კლდიაშვილი გამოცდილი ოსტატია ქართული პროზისა. იგი შემედავა ასეთი დეტალის გამოც: რად შევადარე გორის ციხე (ნისლიან საღამოს) რუხ დრედნოუტს. ანალოგიური შედარება მოვიყვანე მე „ხოგაის მინდიაში", სადაც ხოჯის ჯავშანი ავტომობილის გალაკულ ფრთას შევადარე. ეს იმიტომ, რომ მე მგონია, ჩვენი მკითხველები ნელნელა უნდა შევაჩვიოთ მოდერნულ სახეებს და მეტაფორებს. რად გამოვიჩინე სიძუნწე ამილახვრიანთ ოჯახის გამოსახვაში? მე ქოხების გაჭირვების გამოსახვა უფრო მეძნელება, ვიდრე სასახლეების კომფორტისა, მაგრამ თავადების ყოფის ბრწყინვალების აღწერას რომ გავყოლოდი, იგი მიწურების სილატაკის სურათებს დამიჩაგრავდა. გენერალ ამილახვრის ოჯახის ბუნება ხუთ-თვიანი დათვის ვერაგობით გამოვსახე და იგიც ავწერე, თუ როგორ მოჰკლა თამაზ ამილახვარმა კურდღლობის დროს მებაღე სესიას ვაჟი. არც ნაროდნიკების სახეებზე შევჩერებულვარ, რადგან ეს მოძრაობა საქართველოში არ ყოფილა ორგანიული. ე. ი. უდღეური იყო იგი.

არც თუ მიხა ქილიფთარი დამისახავს ყრმა სოსოს მასწავლებლად, რადგან ამხანაგმა **სტალინმა** ჯერ ხალხისაგან ისწავლა, შემდეგ **მარქსისა** და **ლენინისაგან**. მიხა ქილიფთარი ხელმოცარული და ჭირნახული კაცია, რომელმაც შეაყვარა ბავშვს საქართველოს ისტორია და მრავალტანჯული ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლები მოუთხრო მას.

არაბულების ოჯახის ტრაგედია იმისთვის დავხატე, რათა ყრმა სოსოსათვის მეჩვენებინა, თუ როგორ იტანჯებოდა გამრჯელი, მოჭირნახულე ხალხი. ისიც ვაჩვენე, თუ როგორ ივნო ბესოს მიერ გადამალული მამუკა არაბული, როგორ სასტიკად და უმართებულოდ მოექცა ამ გამრჯელ გვარს მეფის რეჟიმი. მასების ბელადი მასების ტანჯვას ხედავდა თავიდანვე და მათგანვე ისწავლა ბრძოლის საჭიროება, მაგრამ მეთოდები მებრძოლისა მან თავად მისცა ხალხს.

ს. ჩიქოვანი დიდად დაკვირვებულია პროზის საკითხებშიაც, მაგრამ მან რატომღაც არ გაიზიარა ქარისა და ქუდის ამბავი. მასწავლებელი ლავროვი „ველურ ქარებს" უძახოდა, ქართველ ხალხსაც „ველურს" უწოდებდა. მერმე ის იყო, სომხითის ზეგანიდან ადგა „ველური ქარი", საქართველოს უთვალავი ციხეები და ტაძრები გადიარა და ლავროვს ქუდი გადუგდო მტკვარში. ამხ. ჩიქოვანმა აღნიშნა — ეს გროტესკიაო, და მე მას შეგნებულად მივმართე.

რაც შეეხება სტილის სისადავეს, მე აქ თავათ თემა მკარნახებდა ამას. რამდენადაც ბელადზე დაწერილი წიგნის ენა ისე სადა უნდა ყოფილიყო, როგორც დიდი ბელადის წერის სტილი, ლაპარაკის მანერა და მისი ჩაცმულობა. ამხანაგებმა მართებულად შემნიშნეს, რომ „ბელადში" მე მრავალი რამ იგავურად მაქვს ნათქვამი, მრავალი სახე სიმბოლიურად ნახმარი, მაგ., გვიმრა, დათვი, ყორნის მოკვლა და სხვ.

მხოლოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე რომანის ჟანრი ამერჩია, რადგან თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ყველაზე მეტად ტევადი, მასიური და გამძლე ფორმა რომანია. დიდი ისტორიული მოვლენების გაშლა ამ ჟანრში საუკეთესოდ ხერხდება.

ჩემი ყურადღება გავამახვილე, რათა **სტალინი** ამესახა ბუნებრივ თბილ და სიყვარულის აღმძვრელ ატმოსფეროში. რამდენადაც ყრმობა ყველაზე ძნელი ეტაპია მხატვრული განსახიერებისათვის, დინამიკის სიძლიერე გარემოზე გადავიტანე. ეს იყო უძნელესი საქმე.

რომანის თხრობის მიმართ ს. კლდიაშვილმა მართებულად აღნიშნა: ამბავთა თხრობა უწყვეტი გადმოცემით რომ წამეყვანა და სათაურიან ნაკვეთებად არ დამეგეგმა, რომანი უთუოდ წააგებდა. ტიპიზაციის მრავალსახიერებაში პროპორცია უნდა დამეცვა და ამიტომაც განვერიდე ამილახვრიანთ ოჯახის ვითარებათა მოჭარბებით მოცემას. მეორე და მესამე წიგნიც ამ გზით მინდა წავიყვანო. როგორც ბელადის ფიგურის, ისე სხვა პერსონაჟების დინამიურობისათვის მეორე და მესამე წიგნი გაცილებით მეტ გასაქანს მომცემს.

როცა „მთვარის მოტაცება" მოვათავე, ერთი უცნობი მკითხველი გამომესაუბრა ქუჩაში. მითხრა: აკაკი, ვაჟა და ილია მუდამ სტიროდნენ, თქვენი გმირებიც განწირულნი იღუპებიან, მოდი დაგვიხატე გამარჯვებული გმირები, ისეთნი, რომელთაგანაც ბრძოლა და გაუტეხელობა ისწავლონო ჩვენმა შვილებმა. მაშინ განვიზრახე ეს წიგნი. **სტალინის** თემა უდიდესია საბჭოთა ლიტერატურის თემატიკაში. მე ვერ ვბედავდი ამ საქმის დაწყებას, მერმე ის იყო ჩვენი კულტურის გულისხმიერი მესვეური ამხანაგი **ლავრენტი ბერია** დამეხმარა და გამაბედვინა ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმისათვის ხელი მომეკიდა. ჩემი ლოზუნგი ხელოვნებაში ასეთია: ყოველმა ოსტატმა თავისი საქმე ისე გააკეთოს, რომლის უკეთესად გაკეთება მოცემულ პირობებში ყოვლად შეუძლებელია. არც ერთი ჩემი დიდი რომანისათვის ამდენი ჯაფა და სიყვარული არ შემიწირავს.

ამ გიგანტური პიროვნების მხატვრული განსახიერებით მე მინდა ვაჩვენო ჩვენს ახალ თაობას, თუ ვისგან ისწავლონ კეთილშობილი შრომა, თავდავიწყებული ბრძოლა, სულიერი რაინდობა, ხალხის სიყვარული და ვაჟკაცობა.

O

დისკუსია დამთავრდა მომხსენებლის ამხ. დ. ბენაშვილის სიტყვით. მან პასუხი გასცა ორატორებს ზოგიერთი საკითხის გამო.

# ჩემო სამშობლო

(სასიმღერო)

### სანდრო ეული

ქვეყანავ, მაღალმთიანო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
ბაღნარიანო,
ტყიანო,
დღეს გული გაიხარეო:
შენს სამშობლოში ღვრიანო
ციდან შუქს მზე და მთვარეო.

ზეიმობს შენი მთა-ბარი,
მოშხუის მთიდან ანკარა,
სხივებად გადმონაღვარი
მზე შენს მიწაზე დამდგარა,
ბაღებში ხილი დამტკბარი
არვის უნახავს ამგვარად.

სამშობლოვ, ჩემო ქვეყანავ,
უსასო ბედი არ გქონდა, —
შენს მიწას მზე მოეყვანა,
სად წინად ურვა დაქროდა.

ის მზე კრემლიდან ანათებს,
ახარებს შრომის სამყაროს,
სად ბნელა, ღამეს გაათევს,
სხივებად რომ დაეღვაროს.

# ფიქრები

### გაბრიელ ჯაბუშანური

#### (ნაწყვეტი პოემიდან „ზელიმხანი“).

1911 წელს ზელიმხანი გამოქვაბულში მოემწყვდა. გამოქვაბულს უთვალავი ჯარი ერტყა — პოლკოვნიკ მარლანის მეთაურობით. პოლკოვნიკმა წინდაწინვე აცნობა მთავრობას ზელიმხანის შეპყრობის ამბავი. მეორე დღეს, რიჟრაჟზე ზელიმხანი უკვალოდ გაქრა.

I.

ქარაშოტი ნამქერს ისვრის,
ზეცას მწუხრი ეუფლება;
შენს ფარეხში მოდის ნისლი
და ჩურჩულით გეუბნება:
„... ეს ღამე და ბინდი მტკნარი
შენს ნაბადზე შავი არი,
მაგრამ ქვევით რომ დგას ჯარი
ავ ძაღლზედაც ავი არი.
აქ მშველელი კაცი არ გყავს, —
გატყდა ყოფის გასაღები;
შემორტყმიან ირგვლივ ალყად
გამოქვაბულს ყაზახები,
ჩემო გმირო, შენ სისხამზე,
ალბათ, ტყვია დაგადუმებს
და მიტომაც სევდით სავსე
ვადენ ცრემლის ნაკადულებს.
წაველ შორეთს თეთრი თექით,
გადავთელავ მრავალ ფერდობს,
მთებს მოვუხმობ:
ჩამოდექით,
ზელიმხანი იტირეთო.
ნისლს თვალები მენისლება
შენი ყოფის შემხედვარეს,
მო, გაგაფრენ ჩემის ფრთებით —
მე ცხენი და შენ მხედარი...
მაგრამ გული უსიამოდ...
მეუბნება: ხელი ხარო...
ო, მშვიდობით, სამუდამოდ...
სამუდამოდ ზელიმხანო...“

ეფარება კლდეებს ნისლი
და მთებს ამბავს ეუბნება...
ქარაშოტი ნამქერს ისვრის;
ზეცას მწუხრი ეუფლება.
ფიქრს ეძლევა კლდეში მჯდარი,
ესიტყვები თავის ყრმობას,
გარს გარტყია მეფის ჯარი
და ზეიმობს შენს შეპყრობას.

2.

ეს ფიქრებიც ნისლებს ჰგვანან
ერთმანეთში არეულსა:
ერთი მზეებრ ნათელია,
სხვა ლოდივით მძიმე,
ჩემს წინაშე წამომდგარან
დამამგვანეს მთვარეულსა,
გულიც დარდით ნათელია,
როგორც ბინდით მღვიმე —
და არ მესმის რაღას ნიშნავს
მათი ასე აგუნდება,
ზოგი მღერის და ზოგი მართობს,
ზოგი სევდას მიშლის;
ამბობენ, რომ სიკვდილის ჟამს
კაცს წარსული აგონდება,
მაგრამ ვაჟკაცს ვერ შემაკრთობს
ვერც სიკვდილის შიში.

მოგონებებს ვერ ვიცილებ,
თვალწინ მიდგას აულები,
ჩემი სოფლის მთა და ხევი,
ღამე — დილის მსხვერპლი,
თუმცა ჩემი სიყმაწვილე
ტანჯვა იყო დაულევი:
ყაზახების მათრახები
ხანძარი და ფერფლი; —

მაგრამ თურმე მშობლის ჭერ
ქვეშ
ერთი ღამეც გათეული,
თუნდაც ცრემლით დათუთქული
მზეს ედრება მაინც;
დეე ოქროს ჟამი ერქვას
წლების პირველ ათეულსა,
რაც მიზიდავს სათუთ გულით
საჩრდილის რაინდს.

შორს წასულან ის დღეები,
როცა ბაბუ მიყვებოდა, —
მეფემ როგორ მოგვაწოდა
დასალევად შხამი;
გასხლტა ხალხი მთა-ღრეებში,
მამას შვილი მიყვებოდა,
იბრძოდნენ და კლდეც კი
ძრწოდა,
როცა ქუხდა შამილ!
მისი ხმალი ეხლაც ელავს,
ის და მისი ვაჟკაცები
დარჩებიან საოცრებად
შიში რომ ვერ მოხრით;
და ყმაწვილი ფეხშიშველა —
ყმაწვილური გატაცებით
იმ დიად გმირს საოცნებოს
მინატროდი ოხვრით.

ბავშვი ხანჯარშემორტყმული,
დატვირთული ბევრი განცდით
გმირ-შამილზე მეოცნებე
დავდიოდი შემდეგ.
და ბაბუა ფეხმორთხმული
ასერთი წლის ბერიკაცი
მაგონებდა მეოცეჯერ:
ღარიბს ექმენ შემწედ.

# ქართული მუსიკა აღმავლობის გზაზე*)

### ი. ნესტიევი

ქართული მუსიკალური კულტურის სიმწიფეს განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი თავის განვითარებაში ემყარება არა მარტო წარმტაცი ნაციონალური ფოლკლორის უძვირფასეს პლასტებს, არამედ თავის ნაციონალურ მუსიკალურ კლასიკასაც. ზ. ფალიაშვილმა, დ. არაყიშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, დაამყნეს რა ქართველი ხალხის ნაციონალური მელოსი რუსულ და ევროპულ კომპოზიციურ კულტურას, თავიანთი შემოქმედებით უკვე შექმნეს ქართული მუსიკის ნაციონალური სტილი. საქართველოს კომპოზიტორთა ახლანდელი საშუალო და უმცროსი თაობა წარმატებით განაგრძობს დღეს მამების მიერ დაწყებულ საქმეს, აფართოებს ქართული მუსიკის ჟანრობრივ დიაპაზონს, ჰქმნის არა მარტო საგუნდო და საოპერო მუსიკას, არამედ სიმფონიას, ორატორიას, სიმფონიურ პოემას, ინსტრუმენტალურ საკონცერტო მუსიკას.

ქართული მუსიკის უდიდესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ თავის ნაციონალურ ენაზე ილაპარაკოს ისეთ საგნებსა და მოვლენებზე, რომლებიც აღელვებენ ყველა ეროვნების მოწინავე ადამიანებს, რომ ვიწრო ნაციონალური, თავისი ჟღერით ზოგჯერ შეზღუდული, ლოკალური მუსიკიდან თანდათან მიუახლოვდეს საერთო - საკაცობრიო, ნამდვილად ინტერნაციონალურ მუსიკას. და თუ ქართველი პოეტები საჭიროებენ მთარგმნელებს, რომლებმაც მათი შემოქმედება საერთო საბჭოთა კულტურის საგანძურში უნდა შეიტანონ, ამ მხრივ რამდენად უფრო ბედნიერი არიან ქართველი კომპოზიტორები, რომელთაც მოეპოვებათ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ხალხის გრძნობები და მისწრაფებები იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხისათვის. სამწუხაროდ, ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა ცალკეული კონცერტების ერთიორი მოსმენა არ გვაძლევს მასალას სრულფასოვანი ფართო განზოგადოებისათვის. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები გავუზიარო ქართველ მკითხველს ჩემი შთაბეჭდილებანი.

გრ. კილაძეს ყველაზე მეტად ემჩნევა მიდრეკილება სიმფონიური აზროვნებისაკენ, დიდი ინსტრუმენტალური განზოგადოებისაკენ. მისი სიმფონიური პოემა „განდეგილი“ დეკადის ერთ-ერთი წამყვანი ნაწარმოები აღმოჩნდა. ამ მუსიკაში ერთმანეთს ბედნიერად შეუთავსდა ლისტ—ჩაიკოვსკის სტილის რომანტიული პოეტურობა ქართულ ნაციონალურ მელოდიზმს. ი. ჭავჭავაძის პოემაში განსახიერებული ლამაზი ლეგენდა მხოლოდ ბიძგი იყო იმისთვის, რომ კომპოზიტორს მოეცა წმინდა მუსიკალური განზოგადოებული მოთხრობა იმაზე, თუ როგორ იმარჯვებს სიცოცხლე და მზიური საწყისი საშუალო საუკუნეების ასკეტიზმზე. გ. კილაძის სიმფონიურ პოემას რომ ფორმის მხრივ ზოგიერთი ნაკლი არა ჰქონდეს (გაჭიანურება, კულმინაციების სიუხვე და სხვა), შეიძლებოდა იგი აღიარებულიყო საბჭოთა ქართული სიმფონიზმის საუცხოვო ნიმუშად. შესანიშნავია კილაძის ორკესტრობა, მშფოთვარე, დაუდგრომელი, სისხლხორცით სავსე და უხვი.

შალვა მშველიძე და ანდრო ბალანჩივაძე რამდენადმე კილაძის ანტიპოდებს წარმოადგენენ (ძალიან კარგია, რომ ქართულ მუსიკაში გარკვევით ისახება სხვადასხვა შემოქმედებითი მიმდინარეობა). შ. მშველიძე იმ კომპოზიტორებიდან, რომელთაც დეკადაზე წარმატება ხვდათ, ყველაზე ნაციონალური, ყველაზე მეტად ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული კომპოზიტორია. მისი მუსიკალური აზრის მთელი წყობა, მისი სახეების მთელი ანსამბლი და თვით მის მიერ მუსიკაში გამოყენებული განვითარების ხერხები,— ყველაფერი ეს მტკიცედ ეყრდნობა ქართულ ნაციონალურ ნიადაგს. ა. ბალანჩივაძე, პირიქით, ქართველ კომპოზიტორებს შორის ყველაზე უფრო ინტერნაციონალურია, თუმცა მის ნაწარმოებებში ნამდვილი თანამედროვე მხატვრის დახვეწილი გემოვნება და თხრობის შესანიშნავი ევროპული მანერა შესანიშნავად იხამება და ეგუება ქართულ ნაციონალურ კოლორიტს.

შ. მშველიძის ორი საორკესტრო პიესა „ფშაური“ და „აზარი“ ეკუთვნის ჩვენ მიერ მოსმენილ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებთა რიცხვს. ამ პიესებში კომპოზიტორი მკაცრი, ეპიური სიმშვიდით გვიხატავს სამშობლო ქვეყნის პეიზაჟებს: ფშავეთის ბუმბერაზ მთებს და ხეობებს, აფხაზეთის მზიან ზღვის სანაპიროებს. აღაფრთოვანებს და აღელვებს მსმენელს მშველიძის სიმფონიური პოემაც „ზვიადაური“ (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ თემაზე) თემატიკის ორიგინალობით, ჰარმონიული და ორკესტრული წერის განუმეორებელი, რაღაც ეპიკური სიმშვენიერით. სამწუხაროა, რომ ამ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებში უფრო მეტად, ვიდრე კილაძის „განდეგილში“, გამოჩნდა ზოგიერთი ფორმალური ნაკლი: გადატვირთვა მასალით, განვითარების არასაკმაო გარკვეულობა და ლაკონიურობა, ნაკლები მუსიკალური დრამატურგიულობა და სხვ.

ა. ბალანჩივაძის მუსიკას, მის ბალეტს „მთების გულს“, რომელიც საბჭოთა კავშირის საოპერო თეატრის სცენაზე მიდის, მის ძალიან კარგად დაწერილ საფორტეპიანო კონცერტს და საცეკვაო პიესებს ფორტეპიანოსათვის, ჩვენ უკვე ვიცნობდით საქართველოში გამომგზავრებამდის. აქ კი ჩვენ მოვისმინეთ ფრაგმენტები მისი ახალი ოპერიდან „ბედნიერება“, რომელმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეტად ნათელი და შეუბღალავი საორკესტრო ინტერმეცო სავსეა პოეტური მომხიბვლელობით. ოპერის მუსიკა შთაგონებულია სამხრეთის წარმტაცი პეიზაჟებით. არიები ოპერიდან გამოირჩევიან მეტად ფაქიზი გულწრფელი იუმორით. უნდა ვიფიქროთ, რომ ბალანჩივაძის „ბედნიერება“ იქნება ახალი კომიკური ოპერის შექმნის ჩაყოფიერი ცდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ბევრი რამ საინტერესო გვიჩვენეს ამ დეკადაზე იონა ტუსკიამ, ვანო გოკიელმა და შალვა აზმაიფარაშვილმა.

თუ ი. ტუსკიას სიმფონიურმა პოემამ „მავზოლეუმთან“, გამოიწვია ერთგვარი დისკუსია, სამაგიეროდ ბევრმა რამ მისი ახალი ოპერიდან „სამშობლო“ ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. იგი მდიდარია მუსიკალური ჰარმონიით, მელოდიურობით და მრავალფეროვანებით.

ვანო გოკიელის მრავალ ნაწარმოებიდან ჩვენი ინტერესი აღძრეს ლირიზმით აღსავსე ნაწყვეტებმა მისი ოპერიდან „გელა“ („პატარა კახი“) და ორკესტრისა და ხმებისათვის დაწერილმა პიესების ციკლმა სიყვარულის თემაზე. ეს ციკლი იმ მცირე ვოკალურ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც დაწერილია თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტების (ი. აბაშიძე, გრ. ცეცხლაძე და სხვ.) ლექსების ტექსტზე.

თავისებურია შ. აზმაიფარაშვილის კომპოზიტორული ნიჭი. მიუხედავად წერის ერთგვარი მოუხეშავი და მოუქნელი მანერისა, რომელიც ხანდახან არაესთეტიურ შთაბეჭდილებას სტოვებს, იგი ინტერესს იწვევს უმთავრესად თავისი საპეიზაჟო ბგერ-წერის უშუალობით და სიახლით. პირველყოვლისა ეს ითქმის მის ვოკალურ საორკესტრო სუიტებზე („ზამთარი“ და „ლაშქრული“) და ნაწილობრივ კვარტეტისთვის დაწერილ სუიტაზედაც.

თავისი მრავალმხრივი კულტურით და ოსტატობით ყურადღებას იქცევს მეტად ნაყოფიერი კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი. იგი ქართული კამერულ-ინსტრუმენტალური მუსიკის ერთ-ერთი პირველი შემქმნელია (ორი სიმებიანი კვარტეტი და პიესები ვიოლონჩელისათვის). დახვეწილი გემოვნება და მწვავე თეატრალური გამომგონებლობა გამოიჩინა მან თავის სუიტაში ბალეტიდან „მალთაყვა“. ზოგჯერ მის მუსიკაში წმინდა შაბლონური ევროპეიზმი სცვლის ახალ, ნაციონალურად შეფერილ მასალას.

დეკადაზე მოსმენილ ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად სადაო აღმოჩნდა კოტე მეღვინეთ-უხუცესის სვანური სიმფონია. თემატიური მასალის სიმკვეთრე და ავტორის მაღალი პროფესიონალიზმი ჩვენთვის ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მიუხედავად ამისა, სიმფონიამ ვერ გაიმარჯვა, ვფიქრობთ, იმის გამო, რომ მისი განვითარება მეტის-მეტად კალეიდოსკოპურია და მთელი მუსიკალური ქსოვილი ილუსტრაციულ, გარეგნულ აღწერილობით ხასიათს ატარებს. ასეთი მიდგომა სიმფონიურ მუსიკისადმი, როგორც დეკორატიულ ნახატისადმი, რომლებიც ავტორის ამა თუ იმ საპროგრამო განზრახვის ილუსტრაციას წარმოადგენს, სამწუხაროდ დამახასიათებელია არა მარტო „სვანური სიმფონიისათვის“, არამედ დეკადაზე მოსმენილ ბევრ სხვა ნაწარმოებისათვის (ვ. გოკიელის „ლხინი“ და სხვ.). თავისთავად ნაწარმოებთა პროგრამულობა, კონკრეტულ ლიტერატურულ სიუჟეტებთან მათი კავშირი და ნათესაობა არ წარმოადგენს რაიმე ცოდვასა და დანაშაულს. პირიქით, კომპოზიტორთა მისწრაფება — განასახიერონ მუსიკაში ხალხის საყვარელი ლიტერატურული ქმნილებანი (ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასი, ა. წერეთლისა და სხვებისა) უაღრესად პროგრესიულია და ღირსია ყოველგვარი წახალისებისა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მუსიკა ამ ნაწარმოებებში ექვემდებარებოდეს მუსიკალური ფორმის სპეციფიურ კანონებს, მუსიკალური განვითარების ლოგიკის ძირითად პრინციპებს და არ ემორჩილებოდეს მომიჯნე ხელოვნებების — ლიტერატურის, თეატრის, ფერწერის — კანონებს, რომლებიც მუსიკისათვის შეუფერებელნი არიან. თუ მუსიკოსს თავისი სიმფონიური ნაწარმოები გაგებული აქვს როგორც პოემის ილუსტრაცია, როგორც ერთგვარი ბგერითი დამატება პოემისა და არა მისი ბუნებრივი განსახიერება ბგერებში, მაშინ მუსიკა სასტიკად უსწორდება ასეთ ავტორს. ჩვენის აზრით, კილაძის „განდეგილში“ დასახული სიმფონიური აზროვნების გზა უფრო ორგანიული და ბუნებრივია, ვიდრე გზა „სვანური სიმფონიისა“. ჩემის ღრმა რწმენით, ქართული სიმფონიური მუსიკის შემდგომი განვითარება დაადასტურებს ჩემს მოსაზრებებს.

დეკადამ უეჭველი საცხადით გვიჩვენა ქართული ნაციონალური ოპერის ახალი აყვავების დასაწყისი. გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“, შ. მშველიძის „ვეფხის-ტყაოსანი“, ა. ბალანჩივაძის „ბედნიერება“, ვ. გოკიელის „გელა“, ასეთია ქართული საოპერო ხელოვნების უხვი მოსავალი. ამ ახალი ოპერების დადგმას, რომელთაგან ზოგი უკვე დამთავრებულია და ზოგი კი ეხლა იწერება, მოუთმენლად მოელის ჩვენი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის მაყურებელი.

ერთად-ერთი ახალი ოპერა, რომელიც ჩვენ თავიდან ბოლომდე მოვისმინეთ, არის კ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“. იგი ამ კომპოზიტორის პირველი ცდაა მუსიკალური თეატრის სფეროში. ის წარმატება, რომელიც ამ ოპერას მასობრივ მსმენელთა შორის ხვდა, მოწმობს, რომ ავტორმა ბევრ რამეში გაამართლა მოლოდინი. „კაკო ყაჩაღის“ წარმატება პირველყოვლისა მიეწერება ძალზე პოპულარულ კლასიკურ სიუჟეტს და კომპოზიტორის მიერ ქართლ-კახური ხალხური სიმღერის მელოდიების უხვ და ბუნებრივ გამოყენებას. ამ ოპერის სახით ჩვენ წინ სდგას ღრმად ქართული ნიადაგის კომპოზიტორი, დაბადებული და აღზრდილი იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა მისი პირველი ოპერის გმირი, კომპოზიტორი მთელი არსებით დაკავშირებული თავისი ხალხის მუსიკასთან. მიუხედავად ამისა, კ. ანდრიაშვილის ოპერას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი ნაკლი. ოპერის მუსიკა, მიუხედავად მისი გულწრფელობისა და პოპულარობისა (უთუოდ კარგია ისეთი ნომრები, როგორიცაა ურმული ან მზიას ტირილი), გვანცვიფრებს თავისი ერთფეროვნებით, ჰარმონიული და ორკესტრული ფაქტურის სიღარიბით, საოპერო ფორმას მეტად პრიმიტიული გაგებით და მთელი ადგილების გულუბრყვილო გადმოტანით კლასიკური ოპერებიდან. ყოველივე ეს წარმოადგენს ავტორის არა საკმაოდ ღრმა მუსიკალური კულტურის ნაყოფს. განა მტკიცება უნდა იმას, რომ კ. ანდრიაშვილი, თუ კი იგი იმუშავებს თავისი მხატვრული ჰორიზონტის გასაფართოებლად, ახლო მომავალში დიდი და საინტერესო ოსტატი დადგება.

დეკადის დიდ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის კონსერვატორიაში აღზრდილი ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებთა დემონსტრაცია. დიდად მოწონებულ იქნა არჩილ კერესელიძის სიმფონია, ბ. ავეტისოვის საფორტეპიანო კონცერტი, რ. გაბიჩვაძის თეატრალური მუსიკა („ნაპერწკლიდან“), ა. შავერზაშვილის ფორტეპიანოსათვის დაწერილი კონცერტშტუკი, ო. თაქთაქიშვილის, სლიანოვას და სხვების ვოკალური ნაწარმოებები.

სავსებით მომწიფებული ნაწარმოებების შთაბეჭდილება დასტოვეს გ. კოკელაძის და ვ. ცაგარეიშვილის საგუნდო სიმღერებმა, რომ არაფერი ვსთქვათ დ. არაყიშვილის ამ ჟანრის შესანიშნავ ქმნილებებზე.

დეკადაზე ჩვენ გავეცანით აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ სომეხ კომპოზიტორთა ბარხუდარიანის, ნ. მკრტჩიანის, ვ. უმრშატის — ნაწარმოებებს.

დასასრულ, ჭეშმარიტად გულწრფელი სიხარული განგვაცდევინეს საქართველოში აღზრდილმა შესანიშნავმა მუსიკოსმა-შემსრულებლებმა, რომლებიც დიდი გატაცებით მუშაობენ ახალი ქართული მუსიკის შესრულების სრულყოფისათვის. დეკადაზე გამოსულ შემსრულებლებიდან ჩვენ გვსურს განსაკუთრებით აღვნიშნოთ საუცხოვო ვიოლონჩელისტი ვ. ბარნაბიშვილი, აზრიანი კამერული მომღერალი ქალი თ. ბახტაძე, ჩინებული პიანისტები მ. როდავსკაია, კამოევა, ტემპერამენტიანი, ხელმაგარი დირიჟორი ო. დიმიტრიაძე და ბევრი სხვა.

დეკადის უკანასკნელ კონცერტზე სამწუხარო ლაფსუსად უნდა ჩაითვალოს კ. ფოცხვერაშვილის დილეტანტურ—ნაწარმოებთა შესრულება. ამ მუსიკოსის უეჭველი ღვაწლი საქართველოს ნაციონალურ-მუსიკალური კულტურის განვითარებაში სრულიადაც არ იძლევა რაიმე საფუძველს ამისათვის, რომ პროპაგანდა გაეწიოს მის ცუდ მუსიკალურ პიესებს, რომლებიც ბღალავენ ჩვენს წარმოდგენას ქართული მუსიკის დღევანდელ განვითარებაზე.

დეკადის დასასრულ, ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კონფერენციის მუშაობაში. ღრმა ინტერესით მოვისმინეთ ქართველი მუსიკათმცოდნეების პ. ხუჭუას, ვ. დონაძის, ა. მშველიძის, ს. ასლანიშვილის საფუძლიანად დამუშავებული კრიტიკული შრომები, რომლებიც იძლევიან ქართული ნაციონალური მუსიკალური ხელოვნების ახალ მოვლენათა მართებულ და მწვავე ანალიზს.

მოულოდნელი იყო ჩვენთვის ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპოზიტორთა დიდმა ნაწილმა თავის შემოქმედებით კონფერენციაზე არჩია... საზეიმო დუმილის პოზიცია. ის ორიოდე კომპოზიტორიც, რომელიც სიტყვით გამოვიდა, დაკმაყოფილდა თავისი ნაწარმოების გააფთრებული დაცვით ყოველგვარი კრიტიკისაგან. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში შემოქმედებითი კრიტიკა არ სარგებლობს დიდი პატივისცემით. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ქართული მუსიკალური კულტურის შემდგომი წინსვლისათვის, თუ ამხანაგი კომპოზიტორები ჩვენს ასეთ შთაბეჭდილებას გააქარწყლებენ მწვავე და მოურიდებელი ამხანაგური კრიტიკის მაქსიმალური გაღვივებითა და გაშლით.

ეს არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც ჩვენის ღრმა რწმენით ააყვავებს ქართული მუსიკალური კულტურის, მთელი საბჭოთა მუსიკალური კულტურის ბრწყინვალე თანავარსკვლავედში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მუსიკალური კულტურის წარმტაც ბაღნარს.

*) წერილი დაწერილია სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის. წერილის ავტორი არის ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკა“ რედაქტორის მოადგილე.

# ერეკლე მეფე და ნადირ-შაჰი*)

### გერონტი ქიქოძე

ქართლ-კახეთიდან წასვლის წინ ნადირმა ქვეყნის გამგებლად თბილისში ერანელი სეფი-ხანი დასტოვა, ხოლო თელავში—თეიმურაზის ძმისწული, გამაჰმადიანებული ალი მირზა ანუ ალექსანდრე ბატონიშვილი. მათ ვერ შესძლეს ვერც წესიერების დამყარება და ვერც ხალხის გულის მონადირება. უკმაყოფილება განსაკუთრებით გაძლიერდა, როდესაც ხალხს არაჩვეულებრივად დიდი ხარკი დაადეს და ერთგვარი სამხედრო ბეგარაც მოსთხოვეს. ამიტომ სეფი-ხანმა ვითომდა მოსალაპარაკებლად გორში მიიწვია ოპოზიციური ელემენტების ხელმძღვანელები — თეიმურაზი, გივი ამილახვარი და სხვები, დაატყვევა ისინი, ხელებზე ბორკილი დაადებინა და ისპაჰანს გაისტუმრა.

ერთს თავის ლირიკულ ლექსში („თავგადასავალი“) თეიმურაზ მეორეს მოთხრობილი აქვს ეს ყველაზე დრამატიული ეპიზოდი თავისი ბიოგრაფიიდან. ტყვეებს თავისი ნებით თან გაგვყვაო ხარჭაშნელი ეპისკოპოსი, რამდენიმე თავადიშვილი და რამდენიმე კახელი და ქართლელი გლეხი. როცა ისპაჰანში ჩაგვიყვანეს, გვეგონა, იმ დღესვე დაგვიხოცავდნენო. ეს ადვილი მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ერანის შაჰები, როგორც აღმოსავლეთის დესპოტებს შეეფერებოდათ, თავიანთ კეთილგანწყობილებას ადვილად სცვლიდნენ გულისწყრომაზე და იმავე ადამიანებს, რომელთაც გუშინ აბრეშუმის ხალათებით და მოვარაყული რახტებით აჯილდოებდნენ, დღეს განუკითხავად თვალებს სთხრიდნენ, ასაჭურისებდნენ და და თავებს სჭრიდნენ.

თეიმურაზი შედარებით ადვილად გადარჩა. ნადირ-შაჰმა ის ავღანისტანში წაიყვანა, მაგრამ მოსთხოვა, რომ კახეთიდან თავისი ქალ-ვაჟი, ერეკლე და ქეთევანი დაიბარებინა:

„თვით ყეენმან უსამართლო
საქმე მიყო მეტად ძნელი;
გამომართვა ქალი პირმზე,
ვისგან ნათობს ღამე ბნელი.
ძმისწულს მისცა შესართავად
კვლავ ბოძებას აღარ ველი,
და მე მისსა მოშორებით
დამიწყლულდა გული მრთელი.
იგი ძმისწული მაშათ ჰყვა,
ქალი მას მისცა მთვარია,
სახელად ერქვა ქეთევან,
არს მზისა შესადარია,
ვაჟსა უწოდდი ერეკლეს,
არვინ მყავს მისი დარია,
და იგ თვით იახლა, მე დავრჩი
— სიცოცხლე დასაზარია“.

გარდა ამ ლექსისა, დღემდე შენახულია თეიმურაზის წერილი, სპარსეთიდან ერეკლე ბატონიშვილისადმი მოწერილი, რომელსაც ნაკლებ დრამატიული ტონი აქვს: „სასურველო ძეო ჩემო! სადაცა ბოროტი შეგვემთხვევის, იქ სიკეთეც მოგველის. იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომ შაჰსა სურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და რათა თანა წამოიყვანო ასულიცა ჩემი და დაი შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაი შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა“.

ისევე, როგორც თვით თეიმურაზს, ერეკლე ბატონიშვილსაც ერანში, თავადიშვილებს გარდა, თან რამდენიმე ქართლ-კახელი გლეხიც ხლებია. დამახასიათებელია, რომ მის ამალაში ოთხი ერთგული თათარიც ყოფილა, ერთი მეუზანგე, ერთი მალემსრბოლი ანუ შათირი, ერთი შინამოსამსახურე და ერთიც თარჯიმანი.

ყანდაარის ციხის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა საქართველოში გამობრუნა თეიმურაზი და მისი თანმხლებნი, ხოლო თვრამეტი წლის ერეკლე თან წაიყვანა ინდოეთის ექსპედიციაში.

ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი იმჟამად ეჭირა უზარმაზარ, უმდიდრეს მოგოლის იმპერიას, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში დაარსებულ იქნა თემურლენგის შვილიშვილის ბაბერის მიერ. ერთხანს იგი ძლიერსა და შედარებით კეთილმოწყობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა, მაგრამ ნადირ-შაჰის დროს დაქვეითებისა და დაშლის გზაზე იყო შემდგარი. დიდი მოგოლის იმპერიის სატახტო ქალაქი იყო შახჯანაბადი ანუ დელი, რომლის ზღაპრული სიმდიდრე კარგად იყო ცნობილი როგორც ნადირ-შაჰისა, ისე მისი ჯარისკაცებისათვის. თუ ნადირ-შაჰის ჯარმა, რომელიც, თანამედროვეების ცნობით, თითქოს 180 ათას კაცს აღწევდა, შედარებით ადვილად აიტანა ამ უჩვეულო ლაშქრობის გაჭირვება, სიცივისა და სიცხის ცვალებადობა მთებსა და უდაბნოებში, საჭმელ-სასმლის ნაკლებობა, ველური მთიელების მოულოდნელი თავდასხმები, უხიდო მდინარეების გადალახვა და, ბოლოს, მრავალრიცხოვანი მტრის ჯარის წინააღმდეგობა დასძლია, — ეს ნაწილობრივ იმით აიხსნებოდა, რომ ერანელ ჯარისკაცებს ინდოეთის სიმდიდრე იზიდავდა და მათ იმედი ქონდათ, დელის აღების შემდეგ შინ დიდი ნადავლით დაბრუნდებოდნენ.

თავის ჯარის ერთი ნაწილი ნადირ-შაჰს გზაზე გაეჟლიტა ავადმყოფობის გამო ან წვრილ-წვრილ შეტაკებებში, ასე რომ დელისთან, სადაც მას გადამწყვეტი ბრძოლა მოელოდა მხოლოდ ოთხმოცდაათი ათასი კაცი მიჰყვა. ამის წინააღმდეგ დიდმა მოგოლმა, თუ იმდროინდელ ცნობებს დაეჯერება, თითქო 340 ათასი კაცი გამოიყვანა სამასი ზარბაზნით. ამრიგად, ერანელებს, რომელთაც კარგახანია დაკარგული ჰქონდათ ძველი სამხედრო სიქველე და წინა პერიოდებში[1] სრულიადაც ვაჟკაცობით არ იყვნენ ცნობილნი, თითქმის ოთხჯერ უფრო მრავალრიცხოვან მტერთან უხდებოდათ შეტაკება. მაგრამ ნადირ-შაჰმა გაამართლა ნაპოლეონის აფორიზმი: სჯობია ცხვრების ფარა, რომელსაც ლომები მეთაურობენ, ვიდრე ლომების ჯოგი, რომელსაც ცხვრები მეთაურობენო.

დელის ჯარის ყველაზე საშიშ ნაწილს მისი ავანგარდი წარმოადგენდა, ორი ათასი სპილო, რომელნიც მძიმედ მოაბიჯებდნენ ჯარის წინ და, როცა ბრძოლის ცეცხლში გააფთრდებოდნენ, საშინელი განადგურების გამოწვევა შეეძლოთ. ნადირ-შაჰმა თავისი ჯარი ისე გაწყო, რომ თუ პირველ რიგში დაყენებული მძიმე მხედრობა შიდრკებოდა, მისი შეჩერება შესძლებოდა მეორე რიგში მდგომარე მძიმე ქვეითა ჯარს, მარჯვნივ და მარცხნივ ბახტიარებისა და ქართველების საუკეთესო რაზმებით გამაგრებულს. ხოლო მესამე რიგში მან სხვადასხვა მთიელი ხალხის სათადარიგო ნაწილები დააყენა. პირველსა და მეორე რიგს შორის მან აქლემები დაარაზმინა, მათ ზურგზე მანგლები ჰქონდათ მიმაგრებული. პირველი რიგის სარდლობა თვით შაჰმა იკისრა, ის ავანგარდში დადგა, საომრად შეჭავშნული.

როგორც კი ინდოელების მოწინავე რაზმები თავიანთი სპილოებითურთ ერანელთა ჯარს მიუახლოვდნენ, ნადირ-შაჰმა ნიშანი მისცა, რომ აქლემების ზურგზე მიმაგრებული მანგლები აენთოთ. გამწარებული ცხოველები საშინელი ღრიალით ინდოელების მოწინავე რაზმებში შეიჭრნენ. ამ მოულოდნელი ლამპრების დანახვამ სპილოები დააფრთხო და უკან აბრუნებინა პირი. ამრიგად, ინდოელების ჯარის მოწინავე კორპუსი აირია და დაიშალა. ნადირ-შაჰის კავალერიას შესაძლებლობა მიეცა მტრის შუაგულში შეჭრილიყო და გამანადგურებელი ხოცვა - ჟლეტა მოეხდინა. სპარსელებმა ინდოელებს დიდძალი საჭურველი და სპილოების ორი მესამედი წაართვეს. ამის შემდეგ მათ გზა გაეხსნათ სატახტო ქალაქისაკენ.

„მაღალი ღმერთის მიერ შექმნილი სამეფოები და გზები ისევე ადვილად ჰქრებიან, როგორც ზღვის ტალღების ზედაპირზე მორიალე წყლის ქაფი“, — სწერდა ამ გამარჯვების შემდეგ ნადირ-შაჰი თავის ვაჟს. დელიში ნადირ-შაჰს თავდაპირველად არ გამოუჩენია სიმკაცრე. მან განაიარაღებინა მოწინააღმდეგის ჯარი, დიდი კონტრიბუცია დაადო მოსახლეობას, მაგრამ ერანელ ჯარისკაცებს ქალაქი არ დაარბევინა და დიდ მოგოლს ტახტი არ წაართვა; მხოლოდ მოსთხოვა მას, რომ თავისი ქალიშვილი მისი ვაჟის ნასრულა მირზასათვის მიეთხოვებინა. რადგან საქმრო მეფური გვარისა არ იყო, დელის ქედმაღალმა არისტოკრატიამ თავისი მოსაზრებანი გამოსთქვა ამ ქორწინების წინააღმდეგ, მაგრამ ნადირმა მკვეთრად ბოლო მოუღო მათს წინააღმდეგობას: „ნასრულა მირზას არავითარი კეთილშობილი წარმოშობა არ სჭირდება, ის ჩემი მახვილის შვილია!“

ახლად დაპყრობილი სატახტო ქალაქის ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობა ჩქარა დაარღვია შეთქმულებამ, რომელიც შახჯანაბადელებმა ერანის შაჰის წინააღმდეგ მოაწყვეს. ამ შეთქმულების აღმოჩენას საშინელი რისხვა მოჰყვა შაჰ-ნადირის მხრით. მან თავისი ჯარისკაცები შეუსია ქალაქს, გაძარცვინა ის და მრავალი ხალხი გაჟლეტინა. იმპერატორის სასახლის სარდაფები სავსე აღმოჩნდა ალმასებით, ლალებით, იაგუნდებით, ოქრო-ვერცხლის ნივთებითა და ძვირფასი ქსოვილებით, ეს ყველაფერი შაჰის ხელში გადავიდა. სხვათა შორის, ის დაეპატრონა ოქროს სვეტებიან ტახტს ხელოვნური ფარშავანგის ბალდახინით. მისი ფასი, იმდროინდელი მემატიანის თქმით, მთელი ინდოეთის სიმდიდრეს უდრიდაო, მისი ქვების ელვარება ისეთი ძლიერი იყო, რომ ბნელ ოთახს გაანათებდაო. ამის შემდეგ ნადავლით დატვირთული ერანელი ჯარი სამშობლოსაკენ გამობრუნდა, მაგრამ შინ ბევრი ვერაფერი მიიტანა უგზოობისა, უამინდობისა და მტრის პარტიზანების თავდასხმების გამო.

მთელი ამ ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობის დროს ერეკლე გვერდით ახლდა ნადირ-შაჰს. ის დარწმუნდა, რომ მხედართმთავარი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებს ჯარისკაცის ერთგულებასა და სიყვარულს, თუ მის ლხინსა და ჭირს გაინაწილებს. მან დაინახა აგრეთვე, როგორ შეიძლება შედარებით მცირე ძალებით მრავალრიცხოვანი მტრის დამარცხება.

თავის დისადმი მიმართულ წერილში ერეკლეს აწერილი აქვს ამ ლაშქრობის ზოგიერთი მომენტი. ეს წერილი დიდად საინტერესოა, როგორც ისტორიული და ადამიანური დოკუმენტი. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ წერილის ის ადგილი, სადაც აწერილია დელისკენ მიმავალი ერანელი ჯარის ერთი ოპერაცია. დელის ჯარის ერთ-ერთი სარდალი ნასარ-ხანი ხაიბერის უღელტეხილს იცავდა და დარწმუნებული იყო, რომ ნადირი უღელტეხილს გადაივლიდა და პირდაპირ შეებრძოლებოდა მას. ერანელების კავალერიამ კი ნადირის წინამძღოლობით თვრამეტი საათის განმავლობაში მთების ბილიკებით ოთხმოცი კილომეტრი განვლო და უკან მოექცა ხაიბერის დამცველ ჯარს. ეს ოპერაცია ღამით დაიწყო, ნადირს ლამპრებით უნათებდნენ გზას.

„ჩემო ბატონიშვილო ანა, შენი ერგები, უმსახურო და უსიამოვნო ბატონიშვილი ერეკლე ლამაზ თვალებზე და პირზე კოცნას გაკადრებ. მერე წიგნები მოგვწერათ თექვსმეტ ქრისტესშობისთვეს, ენკენისთვეს მოგვივიდა. ასე გვებრძანათ, რომ შენი წიგნის მოსვლაში კინაღამ გავგიჟდითო... სხვა აქაური ამბავი ეს მოგახსენო, რომ ავალი რომ შარშან წამოვიდა გიორგობისთვეს, თუ არ ვიცი, ღვინობისთვეს, იმ მანძილიდან ორი დღე გამოვიარეთ და მესამეს მანძილიდამ დილაზე ავიყარენით. ოთხი ალაჯი[1]) გამოვიარეთ და ჩამოვხდით. ნახევარი რომ ჯერ არ გამოსულიყო, დაიძახეს, ყაენი შეჯდაო... სანამ ან ჯარისკაცი ან ჩვენ მოვემზადებოდით, ყაენს ორი ალაჯი გაევლო. შევსხედით ჩვენცა საღამოზედ და ღამით წინდაწინ გაგვესწრო ხელმწიფისთვის... ჩვენ რომ ხელმწიფისაგან წინ გვნახეს, დაგვაყენეს, რომ ხელმწიფესთან იარეთ თქვენაო. ამაში უკან სამი მაზხალა გამოჩნდა. დავდევგით, მოუცადეთ და ხელმწიფეც მობრძანდა და იმის თოფში[2]) გავერიენით, დავიწყეთ სიარული; იმ ღამეს მთვარეც იყო, და მივადეგით ერთს უგზოს მთასა და კლდეს. ოცდაათი ათასი კაცი შემოვედით ვიწროში, რომ ორი სამი ურემი ალაგ-ალაგ თუ გაიმართებოდა. ერთი ასეთი ციოდა, რომ თითქმის დაგვახმო, ცხენი და კაცი დაგუბდის ამ ვიწროში. ეს ჯარი დავდეგით ამ სიცივეში და იძახიან, ალლა! ალლა!.. იმ ღამეს ვიარეთ. მეორე დღეს რომ დასამხრდა, ყაენს კაცი მოუვიდა, რომ ნასარ-ხან დაიჭირეთო და ჯარი გაექცივათ... იმ სალამოს სპილოს სანახავად წაველ მე, და ყაენმა დამინახა ნასარ-ხანის ყარაულსა და ფარდაში ბრძანდებოდა; დამიძახა და მიბრძანა, შენც წამოსულხარო? მე მოვახსენე, მაშ ვისთან უნდა დავმდგარიყავ-მეთქი. მიბრძანა, ბარაქალა, კარგი გიქნიაო. წინ ქორები უსხდა, რომელიც გინდა აიყვანეო. მივველ, ერთი ქორი ავიყვანე. მიბრძანა, კარგა გააძღობდეო, თავი დავუკარ და წამოველ... ერთ წყალს გავედით, იმან ბევრი საქონელი წაახდინა ჯარისა. იმ წყალს იქით ერთი ქალაქი იყო, საჰრაინიდი ჰქვიან, იმის გვერდზე დადგა ხელმწიფე; დაუძახა ყოველსა სარქარდებსა.[3]) მიმბაშს[4]) უზბაშს[5]) და დალაბაშს,[6]) უბრძანა ბევრი კაი სიტყვა იმედიანი, ჯერ წყალობა და ბოლოს ეს უბრძანა: აქედან რომ კიდეც გაიქცეთ, სად გაქვსთ გზა, რომ მორჩეთო, ისევ ნამუსიანად დავიხოცნეთ, ისი სჯობსო. ჯარმაც კაი სიტყვა მოახსენეს, ღვთითი და თქვენის დოვლათით თქვენს ბედნიერს ალამს ვერ დაუდგებიან ისინიო“.

ერეკლეს წერილი თავდება შახჯანაბადის აღების და იქ მომხდარი აჯანყების და უკან დაბრუნების აღწერით: „ის ჯანაბათი დაიქცა. მას უკან ჩვენც წამოვედით თავიანთ სახლებში. მესამე ღამეს ერთი თქრიალი და თოფის სროლა მოხდა. თურმე გვიღალატეს. ხელმწიფე შეჯდა და ერთი ოქროს მეჩითი იყო, ჩარდახი ჰქონდა და იქ დაბრუნდა და ყათლანი[7]) ბრძანა იმ ქალაქისა. ღმერთმა იმდენი ღვთის წყალობა მოგცეს, რამდენი კაცი, დედაკაცი და ყმაწვილი იქ მოკლეს... რაც კი უნდოდათ, ჯავაირი,[8]) ფლური, ოქრო, ვერცხლი, თუ კი რაც კაცს უნდა, ყოვლისფრით აივსნენ... ოთხ მაისს ხელმწიფე გამოდგა, ხუთასი სპილო შიგ დარჩეული წამოასხა და ხაზინა რადა მოგახსენო... დადგა სიცხე, დიაღ ნამეტნავად შეგვაჭირვა. მე ჩქარა გამოვიარე და ურდოში რომ შემოველ, დამიწყო გულის სუსტობა და ერთი ბეწვი გამიწყდა, რომ ცხენიდან არ გადმოვარდი, და ჩემთან ჯიმშერის მეტი არავინ იყო... მას უკან ათეგის წყალზე მოვედით; ჯერ იმ მანძილზე ალი მირზას ასი თუმანი უბოძა და მეც ორმოცდაათი თუმანი მიბოძა და მას უკან ჩვენი ხანიც ნახა და თითო ცხენი კიდევ გვიბოძა“.

ინდოეთიდან ერანში დაბრუნებისას ნადირ-შაჰი იძულებული გახდა თავის ჯარის ერთი ნაწილით პირდაპირი გზიდან მარჯვნივ გადაეხვია, რათა სინდეთში შეჭრილიყო და მისი მფლობელი დაესაჯა ურჩობისათვის. ეს პატარა სამფლობელო დელის იმპერიაში შედიოდა, როგორც მისი ვასალური ნაწილი, მაგრამ მისი მფლობელი უარს ამბობდა როგორც კონტრიბუციის გადახდაზე, ისე ერანელი ჯარისთვის რაიმე დახმარების გაწევაზე მისი უკან დაბრუნების დროს. ნადირს და

*) ამოღებულია ავტორის შრომიდან „ერეკლე მეორე“, რომელსაც პირველდაწყებითი და საშ. სკოლების კვლევების ინსტიტუტი აქვეყნებს.

[1]) ალაჯი—შვიდი კილომეტრი დაახლოებით.
[2]) თოფი—ამალა.
[3]) სარქარდი—მხედართმთავარი.
[4]) მიმბაში—ათასისთავი.
[5]) უზბაში—ასისთავი.
[6]) დალაბაში—ათისთავი.
[7]) ყათლანი—ამოხოცვა.
[8]) ჯავაირი—ძვირფასი ქვა.

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 წელი ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან

მიმდინარე წლის 14 აპრილს [illegible]

## ჩაიკოვსკის იუბილე

მიმდინარე წლის 7 მაისს სრულდება 100 წელი დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ჩაიკოვსკის დაბადებიდან. [illegible]

[illegible] ლად წარუდგინოს პ. ჩაიკოვსკის ხსოვნის უკვდავყოფისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის ამ უდიდესი კომპოზიტორის შემოქმედების პოპულარიზაციის ღონისძიებათა გეგმა.

მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა ხალხის უსაყვარლესი კომპოზიტორის ღირსშესანიშნავი დღესასწაულის ჩასატარებლად.

განზრახულია აპრილში ჩატარებულ იქნას საიუბილეო ერთთვიური, რომლის განმავლობაშიც საბჭოთა კავშირის ყველა საკონცერტო ორგანიზაცია და 60 ფილარმონია გამართავენ ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან კონცერტების ციკლს, მოაწყობენ მოხსენებებს კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო.

საიუბილეო დღესასწაულში ყველგან მონაწილეობას მიიღებენ თვითმოქმედი მუსიკალური წრეები და მომღერალთა გუნდები. ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლს განზრახული აქვს მოაწყოს კომპოზიტორის ნაწარმოებთა თვითმოქმედი მუსიკალური წრეების მიერ უკეთ შემსრულებელთა კონკურსი.

განსაკუთრებული მზადება სწარმოებს მოსკოვსა და ლენინგრადში. [illegible] ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში რუსეთსა და საზღვარგარეთ.

მოსკოვისა და ლენინგრადის ფილარმონიები ამზადებენ სპეციალურ მოძრავ გამოფენებს, რომლებიც გაიგზავნებიან პერიფერიაში ადგილობრივი ფილარმონიების დასახმარებლად.

მუსიკალური გამომცემლობა იუბილესათვის გამოსაცემად ამზადებს ჩაიკოვსკის ნაწერების ოცდაათტომიან აკადემიური გამოცემის პირველ ტომს. გარდა ამისა, გამოცემული იქნება ჩაიკოვსკის ცხოვრების გარშემო კრებულები და მონოგრაფიები.

საბჭოთა კავშირის ოპერისა და ბალეტის ყველა თეატრში ჩატარებული იქნება კომპოზიტორისადმი მიძღვნილი დეკადა, რომლის განმავლობაშიც შეასრულებენ მხოლოდ მის ნაწარმოებებს.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და ფილარმონია მოაწყობენ ჩაიკოვსკის ნაწარმოებებიდან მთელ რიგ სიმფონიურ და კამერულ კონცერტებს. მოეწყობა აგრეთვე პოპულარული ლექციები კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

# ახალი წიგნები

## სიმონ ჩიქოვანის რჩეული ლექსების წიგნი რუსულად

[illegible]

წიგნი გამოცემულია ვ. გოლცევის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

## [illegible]

[illegible] წიგნად გამოვა, როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე.

## გ. ლეონიძის რჩეული ნაწერები რუსულად

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის ხაზით გამოდის გ. ლეონიძის რჩეული ლექსების კრებული. წიგნში დაბეჭდილია პოეტის ლექსების (1925-1937 წ.) ავტორიზებული თარგმანი. ლექსები წიგნში დალაგებულია არა ქრონოლოგიის, არამედ ციკლების მიხედვით. წიგნი იხსნება ლექსებით ხალხთა დიდ ბელადზე ამხანაგ **სტალინზე**. ამავე განყოფილებაშია მოთავსებული პოემა „ბელადის ყრმობისა და ბავშვობის“ ფრაგმენტები.

წიგნი გამოდის ვიქტორ გოლცევის რედაქციით.

## „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ სასკოლო ბიბლიოთეკის ხაზით გამოსცა ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანი „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“. წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელიც შეიცავს ვ. ბარნოვის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვას.

წიგნს დართული აქვს თ. სახოკიას მიერ შედგენილი ძნელად გასაგებ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი შეიცავს 448 გვერდს, გამოცემულია 4.000 ცალად და ღირს 10 მანეთად.

## „მოძღვარი“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ სასკოლო ბიბლიოთეკის ხაზით გამოსცა ა. ყაზბეგის „მოძღვარი“. წიგნი შეიცავს 176 გვერდს და ღირს 5 მან.

## ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“ რუსულად

ახლახან გამოვიდა ალმანახის „ხალხთა მეგობრობის“ მესამე წიგნი. ამ წიგნში მთლიანად დაბეჭდილია ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა“, რომელიც კარგად არის თარგმნილი ელ. ლოლობერიძის მიერ.

ამ წიგნის შესახებ გაზეთ „იზვესტიას“ 6 იანვრის ნომერში მოთავსებულია მ. სერებრიანსკის ბიბლიოგრაფია, რომელშიაც იგი უმთავრესად ჩერდება რომან „გვადი ბიგვაზე“. ბიბლიოგრაფიის ავტორი იძლევა რომანის მოკლე შინაარსს, ზოგადად არჩევს მას და დაასკვნის, რომ „ეს რომანი სამართლიანად უნდა მივაკუთვნოთ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს, რომლებიც 1939 წელს გამოქვეყნდა“.

## „ჩვენი მიწა“

დრამატურგმა გ. ბერძენიშვილმა დასწერა პიესა „ჩვენი მიწა“. პიესაში ასახულია ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ცხოვრების გმირული ეპიზოდები. აღნიშნულ პიესას დასადგმელად ამზადებენ გორის, ბათუმის, ჭიათურისა და ფოთის თეატრები.

## გ. ლეონიძის საღამო ბარალეთში

17 დეკემბერს სოფელ ბარალეთში (ახალქალაქის რაიონი) ადგილობრივ ბიბლიოთეკაში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო მიძღვნილი ორდენოსანი პოეტის გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

საინტერესო მოხსენებით გ. ლეონიძის შემოქმედების შესახებ გამოვიდა ახალგაზრდა მასწავლებელი ვ. არუთინოვი, რომელმაც ვრცლად გაარჩია გ. ლეონიძის პოეზია და აღნიშნა მისი შემოქმედების თავისებურებანი, ის თუ რა მგზნებარეა მისი სიმღერები ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** შესახებ, ბედნიერი სამშობლოს და ჩვენი ახალგაზრდობის შესახებ.

მეორე მოხსენებით გამოვიდა გ. გოგოლაძე, რომელიც შეეხო გ. ლეონიძის მუშაობას კვლევითს დარგში და საზოგადოებრივ ასპარეზზე.

მომხსენებელმა გაარჩია პოეტის გამოკვლევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: „საბა-სულხან ორბელიანი“, „შახნავაზიანი“, „იოსებ თბილელი და მისი პოემა“ და სხვ.

მოხსენებების შემდეგ მოსწავლეებმა წარმოსთქვეს გ. ლეონიძის ლექსები.

ლიტერატურულ საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო.

# ვ ო ლ ტ ე რ ი

## (დაბადებიდან 245 წლისთავის შესრულების გამო)

ფრანსუა-მარი არუე (ვოლტერი) დაიბადა პარიზში 1694 წლის 21 ნოემბერს.

მამა მისი სასახლის ნოტარიუსი იყო. პატარა არუე მამით ადრე დაობლდა.

10 წლის ფრანსუა-მარი დედამ იეზუიტთა კოლეჯში შეიყვანა: იქ იეზუიტებმა დიდი გავლენა მოახდინეს ვოლტერზე, მაგრამ შემდეგში მან გაბედულად გასწყვიტა მათთან კავშირი და გაილაშქრა მათ წინააღმდეგ.

1718 წელს არუე იცვლის პლებეურ გვარს — არუეს და ირქმევს „Marsieur de Vobtere“ ვოლტერი ორჯერ ჩასვეს ბასტილიაში. 1726 წლის 2 მაისს ბასტილიიდან განთავისუფლებული ვოლტერი ინგლისს მიემგზავრება, ეცნობა შექსპირის, სვიფტის, ნიუტონის, ლოკისა და ბერკლის შემოქმედებას და სწერს წერილებს ინგლისის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე.

ვოლტერმა დიდი კვალი დასტოვა ლიტერატურისა და მეცნიერების ყველა დარგში. იგი ერთ განსაზღვრულ მიზანს ემსახურებოდა: მას სურდა ფრანგულ საზოგადოებაში გაეღვიძებინა საზოგადოებრივი შეგნება.

ვოლტერი იყო პირველი ფრანგი მწერალი, რომელმაც ლიტერატორობა დამოუკიდებელ პროფესიად გაიხადა.

ვოლტერი მეტწილად ტრაგედიებს სწერდა. თეატრისადმი მისწრაფებას ბავშვობიდანვე იჩენდა. იგი დიდი აქტიორიც იყო: თავის პიესებში თავათ თამაშობდა მთავარ როლებს. ვოლტერის დიდი დრამატიული ნიჭი ნათლად მოსჩანს მის დრამებსა და ტრაგედიებში. იგი განაგრძნობდა კლასიციზმის ტრადიციებს, მაგრამ თავისებურად. კორნელისა და რასინისაგან მან შეითვისა ის დებულება, რომ ტრაგედია მოძრაობაა, რომელშიაც განვითარებულია ადამიანის ტიპიური ხასიათები და ვნებები. ვოლტერი თავის იდეებს რაციონალიზმის ნიშნის ქვეშ ანვითარებს. თავის შრომაში: „Discours sur la tragedie“ იგი ამბობს, რომ დრამა უნდა დაიწეროს ლექსად, დრამის ავტორი უნდა ემორჩილებოდეს განსაზღვრულ, დადგენილ წესს.

ვოლტერს არ მოსწონდა ახალი ბურჟუაზიული დრამა. იგი შექსპირს უსაყვედურებდა „ჰამლეტში“ შეშლილი რად გამოიყვანაო. ვოლტერს არ მოსწონდა მესაფლავეთა სცენაც იმავე „ჰამლეტში“. იგი უარჰყოფს ტრაგიკულში კომიკური ამბების შეტანას. ვოლტერი მოითხოვს როგორც დრამისა და კომედიის, ისე ტრაგედიის გარითმვას. იგი შენიშნავდა, რომ ინგლისელები მეტ ადგილს მოქმედებას უთმობენ, ჩვენ კი—ჰარმონიასო. ვოლტერმა ამ თეორიულ შეხედულებებზე ააგო თავისი ტრაგედიები: „მაჰომედი“, „მეროპი“, „ზაირა“, „ცეზარის სიკვდილი“, „ტანკრედი“ და ბევრი სხვ. „მეროპი“ და „ზაირა“ შექსპირის „ოტელოს“ უშუალო გავლენით არის დაწერილი. „ზაირაში“ სამი მთავარი ვნებაა მოცემული, სახელდობრ: ეჭვიანობა (ოროსმანი), მხურვალე რწმენა (ლუზიანა) და დიდი, ვნებიანი სიყვარული. ზაირა მოხიბლულია ოროსმანის სიყვარულით, იგი უმღერის მის ვაჟკაცობას, ძლიერებას, მაგრამ ზაირას ძმა ნერესტანი ნებას არ აძლევს ზაირას გაჰყვეს ცოლად ოროსმანს რადგან ოროსმანი ქრისტიანია. ბოლოს, მათი ცხოვრება ტრაგიკულად დამთავრდება.

„ტანკრედში“, რომლის სიუჟეტი ავტორმა არიოსტოს „გაშმაგებული როლანდიდან“ აიღო, ვოლტერმა დაგვიხატა საშუალო საუკუნეების რაინდობა, ქალის სიყვარულისათვის ჩადენილი გმირობა, სამშობლოსათვის თავდადება.

ვოლტერის პოემებს შორის აღსანიშნავია „ჰენრიადა“ და „ორლეანელი ქალწული“. „ჰენრიადაში“ ავტორი გვიხატავს ჰენრიხ მეოთხის ბრძოლას. ამ პოემაში ავტორი უმღერის საფრანგეთის ისტორიულ გმირებს. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათია ისეთი მხატვრული ნაწარმოები, როგორიც არის „ორლეანელი ქალწული“. დიდმა პუშკინმა ამ პოემას მეთვრამეტე საუკუნის შესანიშნავი ნაწარმოები უწოდა, შეადარა არიოსტოს „გაშმაგებულ როლანდს“ და მიიჩნია იგი კომიკური და სატირული პოეზიის ნიმუშად. ამ პოემის სიუჟეტი ავტორმა აიღო ცნობილი ისტორიულ ფაქტიდან (ჟანა დარკის ეპოპეა). პოემაში ვოლტერი თავს ესხმის საშუალო საუკუნეების საფრანგეთს, ფეოდალიზმს, ეკლესიას, პაპებს, ცრუმორწმუნეობას. ეს პოემა ერთ-ერთი ყველაზე ანტიკლერიკალური ნაწარმოებია, როგორიც კი შეიძლებოდა დაწერილიყო აღმავალი ბურჟუაზიის ეპოქაში.

ვოლტერი დიდი რომანისტიც იყო. მის კალამს ეკუთვნიან ფილოსოფიური რომანები: „ზადიგი“, „კანდიდი“, „ბაბილონის პრინცესა“.

„ზადიგში“ ავტორი ამათრახებს ფეოდალიზმს. რომანის მთავარი გმირი ზადიგი ეგვიპტეში აღმოსავლურ ბარბაროსობას ებრძვის.

შესანიშნავ რომანში „კანდიდი“ ავტორი დასცინის მეფეებს. საერთოდ ვოლტერი თავის რომანებში უფრო მორალისტია, ვიდრე ფსიქოლოგი. იგი არ იძლევა ხასიათების ანალიზს, ის უფრო სილუეტებს გვიხატავს. ვოლტერმა თავის მხატვრულ პროზაში მოგვცა ბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე, რელიგიაზე. იგი მესამე წოდების ნამდვილი შვილი იყო.

ვოლტერს, როგორც ისტორიკოსს, ეკუთვნის შემდეგი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებნი: „ლუდოვიკო XIV-ის საუკუნე“, „კარლოს XII ისტორია“, „რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე დიდის დროს“ და სხვ.

ცნობილია ვოლტერის „ფილოსოფიური წერილები“, „ფილოსოფიური ლექსიკონი“, „ნარკვევი ზნე-ჩვეულებებსა და ხალხთა გონებაზე“. ამ წერილებში ვოლტერმა დასვა საკითხი ინგლისის რელიგიურ-პოლიტიკური ცხოვრების, პარლამენტის, მთავრობის, ბეკონის ფილოსოფიის, ტრაგედიისა და კომედიის შესახებ. ვოლტერს მოსწონს ბეკონის ექსპერიმენტალური მეთოდი. სხვა წერილებში იგი გვაძლევს თავის შეხედულებებს ლიტერატურაზე, პოეზიაზე.

„ფილოსოფიური წერილები“ პირველი ყუმბარა იყო ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. ვოლტერს მეტაფიზიკა რელიგიურ სფეროდან სამყაროს სფეროში გადააქვს. ის მეტაფიზიკას ანცალკევებს თეოლოგიისაგან. თავისი ფილოსოფიური შეხედულებებით ვოლტერი უფრო ებრძვის ათეისტ ჰოლბახს, ვიდრე სორბონს. ღმერთის არსებობის დამტკიცების დროს იგი პანთეიზმისაკენ იხრება. „ჩვენ ყველას ღმერთი გვამოძრავებს“, ამბობდა იგი. მისი აზრით, ღმერთი საჭიროა მორალისათვის როგორც საფუძველი და არა როგორც სანქცია, ვოლტერი იმდენადაა პატრიოტი, რამდენადაც იგი დაინტერესებულია საზოგადოების კეთილდღეობით.

ვოლტერის აზრით, სამშობლო აქვთ იმათ, ვინც ჰფლობს საკუთრებას. იგი მოითხოვს, საზოგადოებრივი განათლება სახელმწიფოს ხელში იყოს.

1758 წლიდან ვოლტერი თანამშრომლობს დიდროსთან ერთად ენციკლოპედიაში, სწერს ფილოსოფიური ხასიათის წერილებს და უგზავნის დიდროს. 1759 წ. ვოლტერი ჩადის ჟენევაში, სადაც ურთიერთობას ამყარებს ჟან-ჟაკ რუსოსთან. მალე მათ შორის ხდება განხეთქილება უთანასწორობის წარმოშობის საკითხის ირგვლივ. 1760 წლიდან მათ შორის იწყება დიდი ფილოსოფიური ბრძოლა.

ვოლტერს ზუსტი, ანალიტიკური, გარკვეული სტილი აქვს. მის მოთხრობებში იუმორი ბატონობს. ვოლტერის გავლენამ მთელი სკოლა წარმოშვა ევროპაში. ვოლტერის გავლენა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთშიაც გავრცელდა. ვოლტერიანობა მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე იყო გამეფებული.

ვოლტერმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი ლიტერატურული შემოქმედება სათანადოდ დაფასებულ იქნა მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

ქართულს ენაზე ვოლტერის თითქმის არც ერთი ნაწარმოები არ მოიპოვება. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას და გადმოითარგმნოს ქართულად მისი შესანიშნავი ლიტერატურული შრომები.

**ს. თურნავა**

## „ჩვენი თაობა“ № 11

გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების მხატვრული ჟურნალის „ჩვენი თაობას“ № 11. ჟურნალში მოთავსებულია: გაბრიელ ჯაბუშანურის „საოქტომბროდ თქმული“ (ლექსი), რევაზ მარგიანის „7 ნოემბრის ღამე სამეგრელოში“ (ლექსი), ვასილ ბარნოვის „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“ (ნაწყვეტი რომანიდან), ივ. შაიშმელაშვილის „პირველი განთიადი“ (პოემა), ლადო ავალიანის „ლაჰილ პირველი“. (მოთხრობა).

გარდა მხატვრული მასალისა, ჟურნალში მოთავსებულია ი. ბალახაშვილის წერილი „გორის ლიტერატურულ წარსულიდან“.

# ნ ე ზ ა მ ი გ ა ნ ჯ ე ლ ი

### დავით კობიძე

რვა საუკუნის წინად გაიფურჩქნა და განვითარდა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნეზამი განჯელის შემოქმედება. განჯელის მაღალხარისხოვანი ნაწარმოებნი გარდაიქცნენ სხვადასხვა ხალხთა პოეტების მიბაძვის საგნად.

იმდროინდელი აზერბაიჯანი წარმოადგენდა ირანის განაპირა პროვინციას, რომლის მმართველნიც — ათაბეგები ირანის მბრძანებლებს მორჩილებდნენ.

სალიტერატურო ენას როგორც ირანისათვის, ისე აზერბაიჯანისათვის წარმოადგენდა სპარსული ენა. ეს გარემოება იძულებულს ხდიდა ნეზამი განჯელს თავისი ნაწარმოებნი სპარსულად ეწერა.

აღმოსავლური ლიტერატურების ისტორიამ იცის მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა ესა თუ ის პოეტი, ისტორიულ გარემოცვათა გამო, ჩაყენებული თავისებურ პირობებში, მღერის არა მშობლიურ ენაზე, მაგრამ იგი და მისი ლიტერატურული შემოქმედება ეკუთვნის იმ ხალხს, რომელმაც ის წარმოშვა, რომელშიაც ის აღიზარდა და რომლის კულტურითაც ის იკვებებოდა.

აზერბაიჯანელი პოეტის ნეზამი განჯელის ცხოვრების შესახებ უძველესი წყაროები მცირე ცნობებს გვაწვდიან.

პოეტის დაბადების წლად ჩვეულებრივ 1141 წელს ვარაუდობენ, ხოლო მის გარდაცვალებას 1203 წლით ათარიღებენ.

ნეზამი არ ეკუთვნოდა შეძლებულთა წრეს. იგი ადრე დაობლებულა და ბავშვობაშივე მძიმე პირობებში ჩავარდნილა. პოეტს მთელი სიცოცხლე განჯაში გაუტარებია. აქედან წარმოსდგება მისი ლიტერატურული სახელი—განჯელი.

ნეზამი განჯელს, გარდა იმ ხუთი პოემისა, რომლებითაც მან მსოფლიო სახელი მოიხვეჭა, დაუწერია ლირიკული ხასიათის ლექსებიც, რომელთაგან ჩვენამდე მცირე რაოდენობამ მოაღწია.

განჯელის პოემები „მეხზენ-ოლ-ესრარ“ („საიდუმლოებათა საგანძური“), „ხოსროვ და შირინი“, „ლეილა და მეჯნუნი“, „ჰეფთ ფეიქერი“ („შვიდი მზეთუნახავი“) და „ისქენდერ-ნამე“, რომელთაც რვა საუკუნეს გაუძლეს, ჯერ კიდევ დიდხანს დარჩებიან მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ნეზამი განჯელის ნაწარმოებების მკვლევართა შორის გავრცელებული აზრის თანახმად, პოეტის პირველ ქმნილებად ითვლება „მეხზენ-ოლ-ესრარ“. ამ ნაწარმოების დაწერისას პოეტი უკვე 37 წლისა ყოფილა.

საფიქრებელია, რომ ნეზამი ამ ასაკამდეც სწერდა და შეიძლება მისი ლირიკული ხასიათის ზოგიერთი ლექსი პირველი პოემის („მეხზენ-ოლ-ესრარ“-ის) დაწერამდეც იყოს შექმნილი, რადგან შეუძლებელია, რომ მას, ყოველგვარი მოსამზადებელი პერიოდის გარეშე, წერა პირდაპირ პოემით დაეწყოს. „მეხზენ-ოლ-ესრარ“ განსხვავდება ნეზამის დანარჩენ ნაწარმოებებისაგან. აქ ერთი ამბავი როდია გადმოცემული, იგი („მეხზენ-ოლ-ესრარ“) წარმოადგენს ამბების, არაკების კრებულს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო თითქმის არაფერი აქვთ.

გარდა ამისა, „მეხზენ-ოლ-ესრარ“, ნეზამის სხვა პოემებთან შედარებით, მეტად დამძიმებულია მისტიურ-სუფიური მსოფლმხედველობით, რაც მას ფართო მკითხველი მასებისათვის დღემდე უცხოდ ხდის.

ნეზამის ცნობილი პოემა „ხოსროვ და შირინი“ გადმოგვცემს სასანიდების დინასტიის წარმომადგენლის ხოსროვ ფერვიზის რომანიულ ურთიერთობას სომხეთის მეფე-ქალის შემირას ძმისწულის ულამაზესი შირინისადმი, რომელიც შემირას გარდაცვალების შემდეგ მეფედ ხდება.

ამ პოემაში, პოეტური შესრულების თვალსაზრისით, მრავალ საინტერესო ეპიზოდთან ერთად, წარმოდგენილია ფერჰადის შესანიშნავი ეპიზოდიც, რომლის საფუძველზედაც ნეზამი განჯელის შემდეგი დროის პოეტებმა შექმნეს „ფერჰად და შირინი“.

„ლეილი და მეჯნუნი“ წარმოადგენს ლეილისა და ყაისის საქვეყნოდ ცნობილი რომანიული თავგადასავლის გადმოცემას პოეტურ ფორმაში.

„ჰეფთ ფეიქერი“-კი ასახავს ირანის მეფის ბაჰრამ გურის ცხოვრების ზოგიერთ მომენტს. ამ პოემაში წარმოდგენილია შვიდი თქმულება, რომლებსაც უამბობენ მეფეს. ერთ მათგანში მოცემულია რუსთა მეფის ასულისა და ერთი მეფის ვაჟის ამბავი.

„ისქენდერ-ნამე“ („ისქენდერის წიგნი“) შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის ამბების გადმოცემას ფანტასტიურ ფორმაში. ნეზამი განჯელი, როგორც მისი ნაწარმოებების შესწავლით ირკვევა, უდიდესი მცოდნე ყოფილა როგორც აღმოსავლეთის, ისე კავკასიის ხალხთა ისტორიისა და ლიტერატურისა.

ნეზამი განჯელი უდიდეს როლს თამაშობდა კავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის განვითარებაში.

ის გარემოება, რომ ნეზამი განჯელის შემდეგ სპარსელი პოეტების მიერ „ლეილ-მეჯნუნიანი“ გაილექსა 30-ჯერ, „ხოსროვ-შირინიანი“—20-ჯერ, „ჰეფთ ფეიქერი“ — 10-ჯერ, ცხადჰყოფს, თუ ნეზამი განჯელის შემოქმედების რა დიდი გავლენა განიცადა სპარსულმა ლიტერატურამ.

ამ ნაწარმოებთა ვერსიებს იცნობს აღმოსავლეთის ხალხების და მათ შორის ქართველი ხალხის ლიტერატურაც.

ქართული ლიტერატურის მკვლევარებს დიდი მუშაობის ჩატარება მართებთ იმის გამოსარკვევად, თუ რა ურთიერთობა აქვთ „ლეილ-მეჯნუნიანის, „ბაჰრამ გურიანის“ (იგივე „ჰეფთ ფეიქერის“) და „ხოსრო-შირინიანის“ ქართულ ვერსიებს ამ ნაწარმოებთა სპარსულ ვერსიებთან საერთოდ და ნეზამი განჯელის ნაწარმოებებთან კერძოდ.

სპარსული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისითაც რომ ავიღოთ, ნეზამ განჯელის წინადროინდელმა პოეზიამ იცის რომანიული ხასიათის ზოგიერთი ნაწარმოები („იოსებ და ზელიხა“ და სხვა).

ფირდოუსის დიდ ნაწარმოებში „შაჰ-ნამეშიც“, რომლის გმირებს ხშირად იხსენიებს ნეზამი, წარმოდგენილია მთელი რიგი რომანიული ეპიზოდები (ბეჟან და მანიჟესი, ზაალისა და რუდაბესი, როსტომისა და თეჰმინესი), მაგრამ ნეზამამდე დაწერილ ნაწარმოებებში მოცემული რომანიული ეპიზოდები მკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებენ ნეზამი განჯელის პოემებში წარმოდგენილ რომანიულ ეპიზოდებთან შედარებით.

ნეზამის წინაპერიოდის ნაწარმოებებმა არ იციან გმირთა გახელება სიყვარულით. აქ გმირები იყვარებენ ერთმანეთს და სულ ადვილად აღწევენ მიზანს. ნეზამის გმირები კი, სიყვარულით გატაცებულნი, ველად იჭრებიან, ხელდებიან, იწვიან და იფერფლებიან.

ნეზამი განჯელს თავის ეპოქის პოეტთა შორის, თუ დიდ რუსთაველს არ მივიღებთ მხედველობაში, რომანიული ეპიზოდების მაღალ პოეტურ ფორმაში გადმოცემის თვალსაზრისით, ტოლი არა ჰყავს.

არის რამდენიმე მსგავსება ნეზამის პოემების („ხოსროვ-შირინიანისა“ და „ლეილ-მეჯნუნიანის“) ცალკეული ეპიზოდებისა, მეთერთმეტე საუკუნის სპარსელი პოეტის ფახრადინ ასად გორგანელის ნაწარმოების „ვისრამიანის“ ადგილებთან, რამაც ზოგიერთი მეცნიერი (იოსებ ჰამერი, ნაზარიანცი და სხვ.) და მათ შორის სპარსელი პოეტების მიმოხილვის (თეზქერე) ავტორი დოვლეთ შაჰი (მე-15 საუკ.) შეცდომაში შეიყვანა: ისინი „ვისრამიანის“ ავტორობას ნეზამი განჯელს მიაკუთვნებენ.

მაგრამ „ვისრამიანში“ უფრო განვითარებულია ხორციელი სიყვარული, რაც არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება დამახასიათებლად ნეზამის რომანიული პოემებისათვის.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეშიც“, როგორც ცნობილია, წარმოდგენილია ალექსანდრე მაკედონელის, ბაჰრამ გურისა და ხოსროვ და შირინის ამბები, მაგრამ, როცა ამ ამბებს ნეზამი განჯელის პოემების შესაფერ ეპიზოდებს ვადარებთ, ვერავითარ მსგავსებას ვერ ვპოულობთ მათ შორის. ისტორიული ამბების გადმოცემისას ფირდოუსი შედარებით იცავს ისტორიულ სინამდვილეს, ნეზამი კი ათავისებურებს ისტორიულ ამბებს, რის გამოც მისი პოემები („ხოსროვ - შირინიანი“, „ბაჰრამ-გურიანი“ და სხვ.) ისტორიული ამბების გალექსვას როდი წარმოადგენენ, — ისინი შინაარსეულადაც ინდივიდუალური პოეტური შემოქმედების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ. „ჰეფთ ფეიქერში“ წარმოდგენილი თქმულებებისა და „ხოსროვ-შირინიანის“ მთელი რიგი ეპიზოდების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ისინი, კავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხების ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის შედეგად, შეიძლება კავკასიის ხალხებში დამოუკიდებლად შემუშავდნენ, რაც შემდეგში მდიდარ წყაროდ იქცა ნეზამი განჯელის შემოქმედებისათვის.

ნეზამის პოემა „ლეილ-მეჯნუნიანი“, როგორც ახლა ირკვევა, განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს „ლეილ-მეჯნუნიანის“ იმ არაბულ ვერსიასთან შედარებით, რომელსაც იცნობს ისლამის წინადროინდელი არაბული ხალხური პოეზია. თქმულებას ლეილასა და მეჯნუნის შესახებ იცნობს ბაბილონის ლურსმნული ლიტერატურაც.

შორეული ეპოქებიდან მომდინარე „ლეილ-მეჯნუნიანი“ სხვადასხვა ეპოქაში ცვლილებას განიცდიდა, სხვადასხვა ხალხის შემოქმედებაში თავისებურ სახეს ღებულობდა ამ ხალხის სოციალურ-ისტორიულ გარემოცვასთან შეფარდებით და შესაძლებელია, არაბული ვერსიისაგან განსხვავებული, ნეზამის „ლეილ-მეჯნუნიანის“ სათავეები კავკასიის ხალხურ ლიტერატურაშიაც მოიძებნოს.

ეს გარემოებანი კი იმაზე მიგვითითებენ, რომ დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნეზამი განჯელის შემოქმედების ღრმა, მეცნიერული შესწავლა მოითხოვს კავკასიისა და აღმოსავლეთის ხალხთა შორეული კულტურული ურთიერთობის კვლევას, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ ხალხების ისტორიული განვითარების ის საფეხურები, რომლებზედაც ეს კულტურული ურთიერთობა ხან ძლიერი და ხან შენელებული სახით ვითარდებოდა.

# საზღვარგარეთ

## „რისხვის ტალღები“

ამერიკელი მწერლის ჯონ სტეიმბეკის სახელმოხვეჭილი რომანი „რისხვის ტალღები“ აკრძალულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მრავალ ქალაქში. ქალაქ სან-ლუიში ეს წიგნი კოცონზე დასწვეს, როგორც „მეამბოხე“ წიგნი.

კამპანია სტეიმბეკის ამ რომანის წინააღმდეგ დაიწყო წიგნის გამოსვლისთანავე. სტეიმბეკი თავის რომანში რეალისტურად აღწერს ამერიკელი ფერმერების განადგურებას და კალიფორნიის სასოფლო-სამეურნეო მუშების ექსპლოატაციას. კალიფორნიის შავრაზმელები ცეცხლს აფრქვევდნენ სტეიმბეკის ამ რომანის მიმართ.

ყოველწლიურად მრავალი ათასი ფერმერი ღატაკდება. ჰკარგავენ მიწას, რომელშიაც ოფლი და სისხლი ჩაუღვრიათ მათ წინაპრებს. მზიურ კალიფორნიაში მიეშურებიან ისინი სამუშაოს საშოვნელად. იმ რაიონებში, რომლებსაც აგრარული კრიზისი აქვთ მოდებული, გაკრულია პლაკატები და განცხადებები, რომლებიც ფერმერებს კალიფორნიისაკენ იწვევენ; ჰპირდებიან მათ პურს, სამუშაოს. იმედებით აღსავსე ხალხი მიემგზავრება „ალთქმის ქვეყნისაკენ“. სინამდვილე სწრაფად აქარწყლებს მათს იმედებს. კალიფორნიის პლანტაციებზე ფერმერებს მოელით აუტანელი შრომა, ძალზე დაბალი ხელფასი, შიმშილი, სიღატაკე და ექსპლოატაცია.

სტეიმბეკმა თავის რომანში აღწერა ამ „მოხეტიალე ფერმერების“ (ასე ეძახიან მათ ამერიკაში) ყოფა. მათ ცხოვრება უხდებათ ფანერებით სახელდახელოდ აგებულ ბინებში, ვაგონებში და სხვ. სტეიმბეკი აგვიწერს ბავშვების შიმშილს, ავადმყოფობას, აუტანელ გაჭირვებას, თავგანწირულ ბრძოლას, გაფიცვებს, მიწის პატრონთა მიერ მიჩენილი დარაჯების დამამცირებელ მოპყრობას, პოლიციელების სიმხეცეს. რომანის გმირი, ახალგაზრდა ფერმერი ტომ ჯოადი, გამოივლის რა ყველა ამებს, იწყებს ბრძოლას ფერმერთა ორგანიზებისათვის.

სტეიმბეკის რომანმა დიდი წარმატება მოიპოვა. ლიტერატურულმა კრიტიკამ და მოწინავე საზოგადოებამ კარგად მიიღო იგი. მიუხედავად ამისა, რეაქციულმა წრეებმა გააფთრებით გაილაშქრეს წიგნის წინააღმდეგ. რეაქციული პრესა ცდილობდა სახელი გაეტეხა სტეიმბეკის ამ თვალსაჩინო ნაწარმოებისათვის.

თუ რა საშუალებებს მიმართავდნენ რეაქციონერები სტეიმბეკის რომანის წინააღმდეგ, ამას ცხადჰყოფენ ის პირობები, რომლებშიაც ხდებოდა რომანის მიხედვით შედგენილ სცენარით კინო-ფილმის გადაღება.

გოლივუდის ფირმამ „ტუენტის სენჩერი ფოკსიმ“, გაითვალისწინა რა რომანის დიდი წარმატება, წიგნის გამოსვლისთანავე შეისყიდა უფლება ამ ნაწარმოების მიხედვით სურათის გადაღებისა.

ფილმის წინააღმდეგ გაჩაღდა ისეთივე კამპანია, როგორც რომანის წინააღმდეგ. გაავრცელეს ხმები, რომ მსხვილ კაპიტალისტთა რომელიღაც ორგანიზაციამ შეისყიდა ფილმის გადაღების უფლება. ეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ფილმის ეკრანზე გამოშვებისათვის.

მოწინავე საზოგადოება აღშფოთებული იყო ასეთი საქციელით. მოითხოვდნენ — შეწყვეტილიყო უმართებულო და აუტანელი მითქმა-მოთქმა სტეიმბეკის რომანის გარშემო. კამპანია წიგნისა და ფილმის წინააღმდეგ მაინც გრძელდებოდა. პრესა წინასწარმეტყველობდა, რომ ფილმი ვერასოდეს ვერ იხილავსო ეკრანს.

ფილმის გარშემო ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მასზე მუშაობა უაღრესად საიდუმლოდ სწარმოებდა. სტუდიაში კერძო პირს არ უშვებდნენ. გადაღებისათვის აშენებულ „მოხეტიალე ფერმერთა“ პატარა ქალაქს ყოველთვის იცავდა შეიარაღებული რაზმი. ფილმის რეჟისორმა ჯონ ფორდმა კინო-ფირმის პატრონებისაგან მიიღო ინსტრუქცია — აფრთხილებდნენ დამდგმელს სცენარზე და ფილმზე მუშაობა აწარმოოს ფრიად საიდუმლოდ, იყოს ფრთხილად, ვინაიდან მსხვილი კაპიტალი ახალ ზომებს მიმართავს წიგნისა და ფილმის წინააღმდეგო.

მიუხედავად მსხვილი კაპიტალის ასეთი ცდებისა, სტეიმბეკის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი შეიძლება გამოჩნდეს ეკრანზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი **შალვა რადიანი**

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 715